ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ელ კლასიკომ რომაული დერბი გადაფარა



### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02.04 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 02.04 | ბარსელონა-რეალი | 1.61 | 4.4 | 4.6 |
| 02.04 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 02.04 | დორტმუნდი-ვერდერი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 02.04 | იუვენტუსი-ემპოლი | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 02.04 | პსჟ-ნიცა | 1.61 | 3.8 | 5.5 |
| 03.04 | ლესტერი-საუთჰემპტონი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 03.04 | მანჩესტერი-ევერტონი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 03.04 | ეიბარი-ვილიარეალი | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 03.04 | სევილია-სოსიედადი | 1.67 | 4.0 | 4.8 |
| 03.04 | ლაციო-რომა | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 03.04 | უდინეზე-ნაპოლი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 03.04 | ბასტია-მარსელი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 03.04 | ლორიანი-ლიონი | 3.6 | 3.5 | 2.0 |

შაბათი – კვირა, 2 – 3 აპრილი, 2016

№78 (67004)

ფასი: 50 თეთრი

# ირაკლი ოქრუაშვილი: „გორის მერის თავი ქალაქში გაგორდება“



გვ.2

„გორის საკრებულოში 1-ელ აპრილს საკმაოდ ხმაურიანი, საქმიანი, კარგი პროცესი იყო. საკრებულოს ყოველი მომდევნო სხდომა ასეთი იქნება. ის ჩამკვდარი სიტუაცია, რაც აქამდე იყო, აღარ გაგრძელდება. გორის მერი დინოზავრების პერიოდის გადმონაშთია. ის გორში არ ცხოვრობს და არანაირი წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება ქალაქში“



## „რესპუბლიკელები ივანიშვილთან ჩაიძირნენ“

გვ.5

კახა კუკავა: „ივანიშვილმა მოახდინა რესპუბლიკელების სრული მარგინალიზაცია და მერე გაემიჯნა მათ“



## ზურაბ აბაშიძე: „ჩვენი რესპუბლიკელებთან ალიანსი გამორიცხულია“

გვ.4

## ბესელიამ და რესპუბლიკელებმა იჩხუბეს





## ზურაბ ტყემალაძის შვილს „ქართული ოცნების“ სიაში სვამენ?

გვ.5







## თენგიზ დიხამინჯია: „რესპუბლიკელებმა „ოცნებას“ კოლექტიური დარტყმა ააცილეს“

გვ.4



## მამუკა ვასაძე: „31 მარტის კადრებში ვინმეს იდენტიფიცირება შეუძლებელია“

გვ.3

## ეკა გიგაური: „რატომ ვითხოვთ შოთაძის გადაყენებას“

გვ.3

რატომ იცავენ რესპუბლიკელები მთავარ პროკურორს



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირაკლი ოქრუაშვილი: „გორის მერის თავი ქალაქში გაგორდება“

შორენა მარსაგიშვილი

**გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის წყალობით შიდა ქართლი ცოტა ხანში ერთ-ერთ ცხელ რეგიონად გადაიქცევა. ამბიციური ირაკლი ოქრუაშვილი პარიზიდან ტყვიავში ვილაცისთვის რჩევებისთვის მისაცემად რომ არ დაბრუნებულა, ეს ისედაც ყველამ იცოდა, მაგრამ ასე სწრაფად თუ დაიწყებდა „ხაზეინობას“, არავინ ელოდა.**



საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა 1-ლ აპრილს ისეთი განცხადება გააკეთა, მეოცნებეებისა და რესპუბლიკელების გაყრა ყველას დაავიწყდა. ოქრუაშვილმა, არც მეტი, არც ნაკლები, გორის მერზე გაიწია და მას თავის მოკვეთით დაემუქრა. გორის მერის ფანებო, დამშვიდდით, მრჩეველს ჯერ ხმალზე ხელი არ გაუვლია, ის სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა.

ამის გარდა, ოქრუაშვილი გორის მერს, ზურაბ ჯირკველიშვილს, იურული პერიოდის გადმონაშთად მიიჩნევს. ამ დასკვნამდე პარიზმოვლილი მას შემდეგ მივიდა, რაც მერმა ინიციატივა დაუწუნა.

ოქრუაშვილის ინიციატივა საკრებულოს დეპუტატების ნაწილისთვისაც მიუღებელია.

გასულ კვირას შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა გაახმაურა 2 ინიციატივა, რომელთაც გორში დიდი ამბები მოჰყვა. ქალაქის ბაღებიდან გორის მიღმა რეგისტრირებული ბავშვების გარიცხვის იდეას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მშობლების გარდა, ამას ბაღების თანამშრომლებიც აპროტესტებენ.

მრჩევლის ინიციატივა საკრებულოს თავმჯდომარე ილია მეტრეველმა გაახმოვანა.

– დღეის მდგომარეობით, ქალაქის ბიუჯეტს გორის მიღმა რეგისტრირებული 600-მდე ბავშვის შენახვა ყოველწლიურად 400.000 ლარამდე უჯდება, რომელიც ქალაქისთვის მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენს თუნდაც სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელებისთვის და ასეთი თანხის ამ მიმართულებით ხარჯვა ქალაქის ბიუჯეტისათვის არის ფუფუნება, – განმარტა ილია მეტრეველმა.

ხელმომჭირნე საკრებულოს თავმჯდომარეს არ აინტერესებს, სად წაიყვანენ მშობლები ბავშვებს. ის არაგორელებს გადაწყვეტილების მისაღებად 6 თვეს აძლევს.

– ახალ სასწავლო წლამდე არსებული დრო, 6 თვე, საკმარისი იქნება, რათა დაინტერესებულმა პირებმა (მშობლებმა) ან რაიონის ხელმძღვანელებმა გამონახონ ხელსაყრელი გამოსავალი. – ამბობს მეტრეველი.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მეტრეველ-ოქრუაშვილის მოსაზრებებს არ ეთანხმება. გამგეობის განმარტებით, მერიის ბიუჯეტი სრულად გასწვდება იმ ბავშვთა კონტინგენტის დაფინანსებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა რეგისტრირებული.

გამგეობისვე მტკიცებით, არაგორელი ბავშვების შენახვა ბიუჯეტს სულაც არ უჯდება იმდენი, რამდენიც მეტრეველ-ოქრუაშვილის დუეტმა დაითვალა.

– მცდარია, ასევე, პროექტის ინიციატორების განცხადება, რომ გორის მერიას იმ 394 აღსაზრდელის დაფინანსება, რომელთა მშობლების იურიდიული მისამართები გორის მუნიციპალიტეტის სოფლებია, 400.000 ლარამდე უჯდება, რადგან ამ რაოდენობის ბავშვების წლიური ხარჯი, საშუალოდ, 120.000 ლარამდეა, – აღნიშნავენ გამგეობაში.

ბაღებიდან ბავშვების განდევნის გარდა, ოქრუაშვილი სხვა იდეამაც შეაწუხა. მან წინა კვირას ლომჭაბუკის სკვერის ტერიტორიაზე აგრარული ბაზრის მოწყობა მოითხოვა.

მისი თქმით, სამი წლის წინ, მას შემდეგ, რაც ძველი ბაზარი დაიხურა და მოვაჭრეები აღნიშნული ტერიტორიიდან გააძევეს, უკმაყოფილო დარჩნენ მყიდველებიც და გამყიდველებიც.

დეპუტატებისა და მერიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის საკითხი, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან – ლომჭაბუკთან, ბაზარმა იმუშაოს.

ოქრუაშვილის ინიციატივები საკრებულომ 1-ლი აპრილის სხდომაზე განიხილა. განხილვას ბაზრის მოვაჭრეებიც ესწრებოდნენ. სხდომამ ხმაურისა და სიტყვიერი დაპირისპირების ფონზე ჩაიარა.

სიტუაცია ისე დაიძაბა, ილია მეტრეველი იძულებული გახდა, სხდომა შეეწყვიტა. საკრებულომ დასკვნა მაინც გამოიტანა. ბაზართან დაკავშირებით ინიციატივა უკან დააბრუნეს, ბავშვების განდევნაზე კი უარყოფითი დასკვნა დადეს.

ხმაურითა და აყალმაყალით ირაკლი ოქრუაშვილი ძალიან კმაყოფილი ჩანდა. ის გვპირდება, რომ გორში აწი სულ ასეთი ხალისობა იქნება. ხალისობის გარდა, ის ქალაქის მერის თავის გაგორების პირობასაც დებს.

– გორის საკრებულოში 1-ლ აპრილს საკმაოდ ხმაურიანი, საქმიანი, კარგი პროცესი იყო. საკრებულოს ყოველი მომდევნო სხდომა ასეთი იქნება. ის ჩამკვდარი სიტუაცია, რაც აქამდე იყო, აღარ გაგრძელდება. გორის მერი დინოზავრების პერიოდის გადმონაშთია. ის გორში არ ცხოვრობს და არანაირი წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება ქალაქში. მის თავზე დამოკლეს მახვილია დაკიდებული და თუ მერი ქალაქში არ გავა და საქმეს არ გააკეთებს, ეს მახვილი დაეშვება და ქალაქში მისი თავი გაგორდება, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის მუქარა ჯირკველიშვილმაც მოისმინა. ის დარწმუნებულია, რომ ოქრუაშვილმა წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო და ამიტომ იქცევა ასე უცნაურად, ამასთან, ამბობს, რომ თავის მოჭრის მუქარის არ ეშინია.

– ალბათ, მან წინასაარჩევნო კამპანია მოიწყო. მე მისი გუნდის წევრი არ ვარ და მისი ჩანაფიქრები არ ვიცი. როგორც თქვენ თქვით, მას ჩემთვის შეურაცხყოფა მოუყენებია. მე ამაზე მხოლოდ გამეცინება. ადამიანი როდესაც ცდილობს, შეურაცხყოფა სხვას მიაყენოს, მას თავად საკუთარ თავს აყენებს, – განუცხადა ჟურნალისტებს გორის მერმა.

საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველს სტალინის ძეგლთან დაკავშირებითაც აქვს ინიციატივა. მას გორში სტალინის ახალი ძეგლის წამოჭიმვის იდეა ულიტინებს თავში. ამ იდეას გორელთა ნაწილი დიდი სიხარულით შეხვდა. ვნახოთ, რას იტყვიან დეპუტატები.

გავრცელებული ინფორმაციით, ოქრუაშვილი საპარლამენტო არჩევნებში გორის მაჟორიტარად აპირებს კენჭისყრას და ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად სიტუაციის გამწვავებას არ მოერიდება.

* * *

ოქრუაშვილის მიერ ატეხილი ხმაურის გარდა, გორის საკრებულოში ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა – საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება“ გაუქმდა.

ფრაქციის გაუქმების საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ნინო ზურაბიშვილმა გორის საკრებულო ვადაზე ადრე საკუთარი სურვილით დატოვა.

ზურაბიშვილმა საკრებულოს წევრის მანდატის დატოვებაზე საკრებულოს აპარატში განცხადება 25 მარტს შეიტანა.

გორის 14-წევრიან საკრებულოში დღეს მხოლოდ ერთი ფრაქცია – „ირაკლი ოქრუაშვილი – ქართული პარტია“ მოქმედებს.

## „პოროშენკომ სააკაშვილის თავიდან მოცილება განიზრახა“



უკრაინული გამოცემა „Деловая столица“, ჟურნალისტ დიმიტრი ბუკოვსკის სტატიას აქვეყნებს, სადაც საუბარი საქართველოდან უკრაინაში პორტირებულ ე.წ. რეფორმატორთა გუნდის შესახებაა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

უკრაინაში საინტერესო მოვლენები მოხდა: ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა ვიქტორ შოკინმა ჯერ თავისი მოადგილე დავით საყვარელიძე მოხსნა თანამდებობიდან, შემდეგ კი თვითონ ვიქტორ შოკინი დაემშვიდობა პოსტს – ვერხოვნა რადამ მას გენპროკურორის უფლებამოსილება შეუწყვიტა...

ქართველი უკრაინელის დავით საყვარელიძის მოხსნის თაობაზე ბრძანებაში აღნიშნულია, რომ იგი უხეშად არღვევდა საპროკურორო ეთიკას, არასწორად ახორციელებდა გენერალური პროკურატურის სტრუქტურის ცვლილებებს და არამართლზომიერად ერეოდა სხვა პროკურორების საქმიანობაში“. ამასთან, ქართველი უკრაინელის მხარდამჭერებს სხვა აზრი აქვთ – ისინი ამბობენ, რომ დავით საყვარელიძე ძალიან პრინციპული ადამიანია და მას ვიქტორ შოკინმა „ბრილიანტის პროკურორების“ გამომჟღავნება არ აპატიაო.

„დელოვაია სტოლიცას“ რედაქციის ხელში არსებული მონაცემებით კი, გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე ზემოდან მითითების საფუძველზე გაათავისუფლეს – პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ყველა ქართველი რეფორმატორის თავიდან მოშორება გადაწყვიტა, მიხეილ სააკაშვილის ჩათვლით და ეს პროცესი დავით საყვარელიძით დაიწყო.

ქართველი უკრაინელის დავით საყვარელიძის სახელმა ყველაზე ფართოდ 2015 წლის ივლისში გაიჟღერა, „ე.წ. „ბრილიანტის პროკურორების“ საქმესთან დაკავშირებით, როცა მან, მიხეილ სააკაშვილის თანამოაზრემ, თავისი კოლეგების კაბინეტებში ჩხრეკა მოაწყო და ორ მაღალჩინოსან პროკურორს – გენპროკურატურის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილეს ვლადიმირ საპაკინს და კიევის ოლქის პროკურორის მოადგილეს ალექსანდრ კორნიეცს 500 ათასი დოლარი და დიდი რაოდენობით ძვირფასეულობა აღმოუჩინა. სხვადასხვა მიზეზების გამო ამ საქმემ ლოგიკური დასასრული ვერ ჰპოვა და სასამართლომდე ვერ მივიდა. დავით საყვარელიძემ თავისი შეფი ვიქტორ შოკინი „ბრილიანტის პროკურორების“ მფარველობაში დაადანაშაულა. ფაქტიურად, მათ შორის საინფორმაციო ომი დაიწყო. რაც შეეხება თვით „ბრილიანტის პროკურორების“ საქმეს, მასში დღემდე ბევრი რამ გაურკვეველი რჩება, გართულდა ტყუილ-მართლის გარჩევა ერთმანეთისგან...

ასე იყო თუ ისე, როგორც ჩანს, „ბანკოვოის“ (ბანკის) ქუჩაზე მდებარე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ რადგანაც დავით საყვარელიძემ ვერ შეძლო აღნიშნული საქმის დასრულება, ის უნდა წავიდეს. ასეთივე პოზიცია აქვს პრეზიდენტის გუნდს ქართული დესანტის სხვა წარმომადგენლების მიმართაც, მათ შორის ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის მიმართაც: იგი საკუთარ თავს პიარს უკეთებს, გაჰყვირის, რომ კორუფციასა და უკანონობას ებრძვის, ცენტრალურ ხელისუფლებას კორუფციონერთა მფარველობაში ადანაშაულებს, მაგრამ ამის მტკიცებულებები არ აქვს, თანაც მისი მუშაობა არაეფექტურიაო.

მთლიანობაში, „დელოვაია სტოლიცას“ მონაცემებით, პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ადმინისტრაციაში დარწმუნდნენ, რომ ქართველი რეფორმატორების უკრაინაში მოწვევა შეცდომა აღმოჩნდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ მათი პერმანენტული კრიტიკა ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ უკვე სისტემურ პრობლემად იქცა. მართლაც ისე გამოდის, რომ ქართული დესანტი ხელისუფლების ორგანოების სისტემის შიგნიდან დარღვევას ცდილობს; მეორე – რა დასამალია და მიხეილ სააკაშვილის გუნდის საქმიანობის რეალური შედეგები ძალიან მცირეა. თვით ოდესის ოლქის გუბერნატორი უმეტესად თავისი პოლიტიკური მოძრაობის რეკლამირებითაა დაკავებული და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისათვის ემზადება. გუბერნატორის პოსტი კი მას ხელსაყრელ ადმინისტრაციულ პირობებს უქმნის... ამიტომაც „ბანკოვოიზე“ გადაწყვიტეს, რომ თუ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური საქმიანობა სურს, მაშინ უმჯობესი იქნება, იგი ამით თავისუფალ დროს დაკავდეს, ანუ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ. გადადგომას კი უახლოეს ხანში უნდა ველოდოთ, – წერს გამოცემა.

**ნიუსპრესი**

## „სამ წელიწადში ქართველების მიერ გერმანიაში ბინის ქარცვის ფაქტები გაათმაგდა“



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის გერმანიაში (რეინლანდ-პფალცის ფედერალურ მხარეში) ვიზიტის მიზანს ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობა წარმოადგენს.

ამის შესახებ გერმანული გამოცემა „Die Welt“ წერს.

გამოცემის თანახმად, ქართველი მინისტრი ხუთშაბათს, ქალაქ მაინცს ეწვია და იქ არსებული პოლიციის სკოლა დაათვალიერა, შემდეგ კი მხარის შინაგან საქმეთა მინისტრს როჯერ ლევენცს შეხვდა. მათ ისაუბრეს შეთანხმების გაფორმებაზე დამნაშავეობასთან ერთობლივი ბრძოლის მიზნით.

როგორც გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინება, გასული წლების სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში მნიშვნელოვნად მოიმატა ქართული მაფიოზური ბანდების წევრთა მიერ ჩადენილმა დანაშაულის რაოდენობამ, განსაკუთრებით ბინების ძარცვამ: თუ 2012 წელს მხოლოდ 191 სამართალდარღვევა დაფიქსირდა, 2015-ში უკვე ქურდობის 1461 შემთხვევა მოხდა. ძიებაშია ქართული წარმოშობის 593 ეჭვმიტანილი, რაც 57%-იან ზრდას შეადგენს. მათ შორის ბევრია მრავალჯერ ნასამართლევი რეციდივისტები.

მართალია, რეინლანდ-პფალცის მხარე ასეთი სახის დანაშაულობათა მატებით გერმანიის სხვა მხარეებისაგან არ გამოირჩევა, მაგრამ თბილისი და მაინცი მაინც აგრძელებენ თანამშრომლობის ტრადიციებს.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა ვასაძე: „31 მარტის კადრებში ვინმეს იდენტიფიცირება შეუძლებელია“

## „2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები არ არის მოპოვებული“



მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის მამუკა ვასაძის ინფორმაციით, საქართველოში უკვე რამდენიმე დღეა იმყოფება და პროკურატურაში შექმნილ სპეციალურ საგამოძიებო ჯგუფს აქტიურ კონსულტაციას უწევს აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) წარმომადგენელი.

ამის შესახებ მამუკა ვასაძემ 1 აპრილს პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– მანამდეც, გამოძიების საჭიროებებიდან გამომდინარე, აშშ-ის კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობა ხორციელდებოდა აქტიურად, დისტანციურ რეჟიმში, – განმარტა ვასაძემ.

მისი ინფორმაციით, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ხელყოფის საქმეზე ჩატარებულია 200-ზე მეტი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

კერძოდ, საგამოძიებო ჯგუფის მიერ დამნაშავე პირების გამოვლენის მიზნით, თბილისის მასშტაბით, 25 სხვადასხვა საცხოვრებელ მისამართზე ჩატარდა ჩხრეკა, რა დროსაც ამოღებულ იქნა სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი 166 ერთეული სიდი და დივიდი დისკი, 26 ერთეული კომპიუტერი, 37 ერთეული მობილური ტელეფონი, 86 ერთეული სიმბარათი, 53 ერთეული მეხსიერების ბარათი, 5 ერთეული გარე მეხსიერების მყარი დისკი; ჩატარდა ელექტრონული ინფორმაციის შემცველი 41 ობიექტის დათვალიერება, ხოლო ჩხრეკის შედეგად ამოღებულ 59 ობიექტზე დანიშნულია კომპიუტერული ექსპერტიზა.

– გამოძიებისთვის საინტერესო ობიექტებიდან გამოთხოვილია გარე სათვალთვალო კამერების ჩანაწერები; მოწმის სახით გამოიკითხა 50-მდე პირი. გამოძიებისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვების მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებში გაგზავნილია საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების 16 შუამდგომლობა, რომელთა ეფექტურად შესრულებისა და დაჩქარების მიზნით ქართული მხარე აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან, – განაცხადა ვასაძემ.

გამოძიება წარმოებს პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ხელყოფის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და იგი მოიცავს ბოლო პერიოდში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების უკანონოდ მოპოვების, შენახვისა და ინტერნეტსივრცეში გავრცელების ფაქტების გამოძიებას.

– საქართველოს მთავარი პროკურატურა დახმარებისთვის მადლობას უხდის საქართველოში ამერიკის საელჩოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს, – აღნიშნა მთავარი პროკურორის მოადგილემ.

* * *

გამოძიებით დადგენილია, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები არ არის მოპოვებული და შექმნილი.

– შესაბამისად, 2012 წლის ოქტომბრამდე პერიოდში, ვინც ასეთი კადრების შექმნას ახორციელებდა, ნაწილი არის ძებნილი, ნაწილს საქართველოს ტერიტორია დატოვებული აქვს და რთულია პროგნოზირება იმის, თუ ვინ რომელ ქვეყანაში ვის და რა მიზნით გადასცა და რაში გამოიყენებს, – განაცხადა ვასაძემ.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 31 მარტს გავრცელებული კადრებით რაიმეს გარკვევა და იდენტიფიცირება შეუძლებელია.

ამის შესახებ მთავარი პროკურორის მოადგილემ იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, მოხდა თუ არა 31 მარტს პირადი ცხოვრების ამსახველი მორიგი კადრების გავრცელება.

– ამ კადრებით იდენტიფიცირება, არის თუ არა ეს რომელიმე პირი, ან ვინ არის ამ კადრებზე ასახული ან არის თუ არა რომელიმე პირის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია ამ კადრებზე, შეუძლებელია, იმიტომ რომ იმ ვიდეოთი რაიმეს გარკვევა შეუძლებელია. ჩვენ ვრეაგირებთ ნებისმიერ ფაქტზე, რომელიც რაიმე დანაშაულის ნიშნების შემცველი შეიძლება იყოს, – განაცხადა ვასაძემ.

ამასთან, მან ვერ დააკონკრეტა, რა ტექნიკური საშუალებით მოხდა ვიდეოების ატვირთვა.

მამუკა ვასაძე არასამთავრობოების მიერ მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის, გადაყენების მოთხოვნასაც შეეხო.

– მოთხოვნით შეიძლება ბევრმა ვინმემ ბევრი რამე მოითხოვოს. ფაქტი ერთია, რომ ჩვენ ვაკეთებთ მაქსიმალურს, – განაცხადა მამუკა ვასაძემ.

# ეკა გიგაური: „რატომ ვითხოვთ შოთაძის გადაყენებას“

## რატომ იცავენ რესპუბლიკელები მთავარ პროკურორს



კამპანია „ეს შენ გეხება“ განმარტავს, რატომ ითხოვს მთავარი პროკურორის გადადგომას.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა 1-ლ აპრილს პრესკონფერენციაზე განაცხადა, ირაკლი შოთაძის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს იმიტომ, რომ მან ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, გამოიძიოს ისეთი ტიპის საქმეები, რომლებიც პირადი ცხოვრების ამსახველ ჩანაწერებს ეხება.

– ჩვენ მოვისმინეთ დღევანდელი განცხადება, რომელიც ეხებოდა მთავარი პროკურორის გადადგომის საკითხს. ჩვენ ამას ვითხოვთ იმიტომ კი არა, რომ გამოძიება არაეფექტურია კონკრეტულ ერთ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება კადრების გავრცელებას, არამედ ამ კონკრეტული პირის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს იმიტომ, რომ მისი ვალდებულებაა, ასეთი ტიპის დანაშაულები გამოძიებული იყოს და მან ეს ვერ გააკეთა, – განაცხადა გიგაურმა.

1 აპრილსვე გიგაურს რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი გამოეხმაურა.

როგორც ბერძენიშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აღნიშნა, არასამთავრობოების ეს მოთხოვნა უსაფუძვლოა.

– არასამთავრობო სექტორს ყველაფერი შეუძლია თქვას, მაგრამ ახლა, ამ წუთას, როცა მიმდინარეობს გამოძიება და უნდა დაიდოს შედეგები, ეს მოთხოვნა არ არის დამაჯერებელი. ხანდობას უცხადებენ პროკურატურას, სწორედ ეს ორგანიზაციები და ქალბატონი, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობიდან“ არის, იმდენად ენდობოდა პროკურატურას, რომ არჩევნების შედეგებისა და ქართველი მინისტრების დანაშაულის გამოძიებას ითხოვდა, ეს ქალბატონი ხან არ ენდობა პროკურატურას, ცოტა არ იყოს ვერ გავიგე.

მართალი გითხრათ, მერყეობას ვატყობ, პოზიციონირებას, რომელიც ძალიან ჰგავს პოლიტიკას და არა – არასამთავრობო სექტორს. მათ აქვთ უფლება, მოითხოვონ, მაგრამ რას ნიშნავს ეს მოთხოვნა, არ ვიცი. კანონით ბევრი რამის სურვილი შეიძლება მათ ჰქონდეთ, მაგრამ თუ აქვთ წაკითხული, მაშინ მთელი საქართველო რომ ადგეს ფეხზე და მოითხოვოს მთავარი პროკურორის გადაყენება, ვერ გადავაყენებთ. იმიტომ არის ის დამოუკიდებელი და არჩეულია ექვსი წლით. მხოლოდ შეიძლება მისი იმპიჩმენტი მოხდეს,

თუ იციან ეს მექანიზმები და თუ ხედავენ ამის შანსს, კარგია, თუ არა, მაშინ რა აზრი აქვს ამაზე საუბარს, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

# ბესელიამ და რესპუბლიკელებმა იჩხუბეს

შორენა მარსაგიშვილი

**რესპუბლიკელებსა და მეოცნებეებს შორის პოლიტიკური განქორწინებიდან ერთი დღეც არ იყო გასული, რომ მათ შორის პირველი დაპირისპირება მოხდა. ეკა ბესელიას რესპუბლიკელების დუეტი დაუპირისპირდა.**

ყოფილ თანამებრძოლებს შორის პირველი ღია დაპირისპირება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხდა. დაპირისპირების მიზეზი ბესელიას მიერ წარმოდგენილი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის“ შესახებ კანონპროექტი გახდა.

ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, რესპუბლიკელ ნოდარ ებანოიძეს რომ არ გამოეთქვა შენიშვნა.

ნოდარ ებანოიძის შენიშვნა კანონპროექტის იმ ნაწილს ეხებოდა, რომელიც ბაგა-ბაღებში ჯგუფების ფორმირებას ეხება.

– მაგალითად მომყავს ვალდორფის ბაღი – ამ ბაღში 3, 4 და 5 წლის ბავშვები ერთ ჯგუფში არიან, ისინი თვლიან, რომ სხვადასხვა ასაკის ბავშვების ერთად ყოფნა ბავშვის განვითარებისთვის კარგია. ამ კანონით 4 წლის შემდეგ ასეთი ჯგუფების შექმნა ეკრძალება კერძო ბაღებსაც. ვიკითხე, კვლევა თუ გაქვთ, – მიმართა ებანოიძემ ბესელიას.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ებანოიძის ტონი და შენიშვნა არ მოეწონა. ის განსაკუთრებით მას შემდეგ გაცხარ-



და, რაც კოლეგამ შეახსენა, რომ ის ფსიქოლოგი არ არის.

– თქვენი ლოგიკა ჰგავს იმას, თუ რატომ არის მესამე კლასის ბავშვი მესამეკლასელებთან და რატომ არ არის მეხუთეკლასელებთან. ზუსტად ამას ამბობთ – მე ფსიქოლოგი არ ვარ, მაგრამ ამაზე ფსიქოლოგები მუშაობენ და რასაც ლაპარაკობთ, რომ არ ვარგა, ეს ორჯერ ორი ოთხია. თუ იმის მტკიცებას ვიწყებთ, რომ გაეროს ბავშვთა ფონდი და მათი კვლევები არ ვარგა, ნება მიბოძეთ, არ დავეთანხმო მაგ გაუგებარ ლოგიკას. რასაც ლაპარაკობთ ეს ჩემთვის არის გაუგებარი ლოგიკა, – მიმართა ბესელიამ ებანოიძეს.

ვალში მას არც რესპუბლიკელი კოლეგა დარჩენია და მან ხელების ქნევით გააპროტესტა ბესელიას პოზიცია.

ხელების ქნევამ სულ გადარია ბესელია და ებანოიძეს ერთი გემრიელად დაჰკივლა.

– ბატონო ნოდარ, ხელებს ნუ იშვერთ და ნუ ყვირიხართ – დღეს რაღაც მეტისმეტად გაცხარებული ბრძანდებით, ამ რეფორმას ახლა პირველად არ ისმენთ, კანონპროექტის არსს დაუბრუნდით და იმედია, პოლიტიკურ ნოტზე არ ხართ გადასული – დაიწყნარეთ ნერვები და ხელები სათანადო მიმართულებით მიმართეთ, – მიმართა კოლეგას ბესელიამ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ებანოიძის გაცხარებას კოალიციიდან რესპუბლიკელების გასვლას უკავშირებს.

– პოლიტიკური მოცემულობა როგორ ცვლის ხალხს, თორემ როგორ შეიძლება ამ თემაზე ასეთი რეაქცია გქონდეს, – აღნიშნა ბესელიამ.

თანაპარტიელის დასაცავად ცოტა ხნის წინ გარესპუბლიკელებულმა თამარ კორძაიამ გამოიდო თავი. მან ბესელიას შეფასებას მიუღებელი, უადგილო და ორაზროვანი უწოდა.

– ნოდარ ებანოიძის კითხვასთან დაკავშირებით თქვენი პასუხი, რომ ეს იყო პოლიტიკურ ქვეტექსტებთან დაკავშირებული, ნამდვილად მიუღებელი, უადგილო და ორაზროვანი იყო, რადგან არც ბატონ ნოდარს და არც ერთ რესპუბლიკელს არ გვაქვს იმის პრობლემა, რომ პოზიციები ღიად გამოვხატოთ და ეს იცის ყველამ. ამიტომ გთხოვთ, რომ მომავალში ეს გაითვალისწინოთ, – მიმართა ბესელიას თამარ კორძაიამ.

რესპუბლიკელებთან გამართული ომიდან რამდენიმე საათში ბესელიამ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა და ერს ამცნო, რომ ებანოიძეს მიუტევა.

– მე ბუნებით მიმტევებელი ვარ. ასე რომ, ჩემი და ნოდარ ებანოიძეს შორის პლენარულ სხდომაზე მომხდარი დაპირისპირება უკვე დამავიწყდა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რესპების ამწიოკებელმა.

მიმტევებელი ბუნების მიუხედავად, ბესელია ებანოიძის ტონს მაინც ვერ ივიწყებს. გონივრული ეჭვი აქვს, რომ მისი გაცხარება პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარეობს.

– მე მგონია, რომ ეს იყო გაურკვევლობა. არ მესმოდა, ბატონი ნოდარი რას ამბობდა. მაგრამ როცა უკვე გავიგე, მე ჩავთვალე, რომ არ იყო ეს მისაღები შენიშვნა და ამავე დროს ჩანდა, რომ ცოტა ზედმეტად გაცხარებული და ჩემთვის არაბუნებრივად გაბრაზებული ჟესტიკულაციით საუბრობდა, რამაც გამოიწვია ჩემი მხრიდან ცოტა სუსხიანი რეაქცია. ცოტა ხნის წინ მოვიდა, ამიხსნა. მომეჩვენა, რომ ეს შენიშვნები პოლიტიკურ კონტექსტში იყო, რადგან ვერ ავხსენი. დასმული იყო კითხვა და მესამედაც რომ დაისვა, ვერ გავიგე, რატომ იყო საწინააღმდეგო პოზიცია.

ჩემი ლოგიკით ვერ ავხსენი. უეცრად იმპულსურად გავიფიქრე, რომ ეს იყო პოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე ემოცია. ამიტომ იყო ჩემი ძალიან გულწრფელად და ღიად ნათქვამი ფრაზა. ახლა ყველაფერი გაირკვა. მოვიდა უკვე, ბოდიში მოიხადა. მე ვფიქრობ, ეს თემა ამოწურულია, – ამბობს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

* * *

ეს ინციდენტი მართალია დასრულდა, მაგრამ, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, მალე რესპებსა და მეოცნებეებს შორის ღია დაპირისპირება წავა. 3 წელი ერთად იყვნენ გუნდში და წამოსაძახებელი ბევრი რამე ექნებათ.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური თანამოაზრეებს მობილიზებისკენ მოუწოდებს.



– პრობლემები გაცილებით მეტი იქნება. ამაზე ორი აზრი არ არსებობს და უფრო მეტი მობილიზება დასჭირდება „ქართულ ოცნებას“. თვითონ რესპუბლიკელებს არცთუ ისე ცოტა საკითხში ჰქონდა განსხვავებული პოზიცია დანარჩენ წევრებთან შედარებითაც. ყოველთვის არ უჭერდნენ მხარს უმრავლესობის გადაწყვეტილებებს. ავიღოთ ბოლო მომენტი, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, აქაც, თუ არ ვცდები, რესპუბლიკელებიდან ორმა დაუჭირა მხარი. ეს ახალი არ არის, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ზურაბ აბაშიძე: „ჩვენი რესპუბლიკელებთან ალიანსი გამორიცხულია“

ნათია ხურცილავა

**თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, რესპუბლიკელი მინისტრები ამომრჩევლის წინაშე როგორ წარდგებიან, როგორც ოპოზიციონერები თუ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები.**



**ზურაბ აბაშიძე:**

– კოალიცია დაიშალა, რაც გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა. რესპუბლიკური პარტია და „ქართული ოცნება“ არჩევნებზე ცალ-ცალკე გამოვლენ. დანარჩენი პარტიები თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, ეს მათზეა დამოკიდებული, მაგრამ ისინი უკვე შემდგარი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ – კოალიცია აღარ არსებობს.

– რესპუბლიკელები მინისტრთა კაბინეტში რჩებიან და პრემიერს დაემორჩილებიან. თუმცა, საპარლამენტო მუშაობას, როგორც თავად ამბობენ, საკუთარი დღის წესრიგით წარმართავენ.

– ეს არის აბსოლუტურად გაუგებარი და წარმოუდგენელი – დარჩე მინისტრის პოსტზე და საარჩევნო კამპანია წარმართო, როგორც ოპოზიციონერმა თუ როგორც ხელისუფლების წარმომადგენელმა?! რა უნდა უთხრა ამომრჩეველს, მე მომეცი ხმა, ეს ცუდი ხელისუფლებაა და ამ დროს მინისტრი ხარ. ვერ გავიგე! პარლამენტში კი გვექნება ჩვენი დღის წესრიგიო ანუ იქნებიან ხელისუფლებასთან კონკურენტულ რეჟიმში.

ეს არასერიოზულად გამოიყურება. საზოგადოება ამას ადეკვატურად შეაფასებს. ქვეყანაში წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობა ერთიანად ეკისრება როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე რესპუბლიკელებს, კონსერვატორებს და დანარჩენებს.

***– რამდენად შეიძლება არგუმენტი იყოს, რომ ეს არის ევროპული გამოცდილება?***

– რაც შეეხება ევროპულ გამოცდილებას, რომელიც უფრო სკანდინავიის ქვეყნებში არსებობს, იქ ამომრჩეველმა კარგად იცის, ვინ რომელ პარტიას უჭერს მხარს და მას არჩევანი იმთავითვე აქვს გაკეთებული. ასეთ ქვეყნებში არჩევანი იდეოლოგიის მიხედვით ხდება და არა ისე, როგორც ჩვენთან არის. საქართველოში იდეოლოგიებს ხომ არ უჭერენ მხარს. ჩვენთან მკვეთრად არის გამიჯნული – უჭერ მხარს ოპოზიციას, ან ხელისუფლებას.

***– რატომ ახლა, რა მოხდა შიგნით, არჩევნები მოახლოვდა?***

– კოალიციაში შიგნით ვერ შეთანხმდნენ კვოტებზე, თანამდებობებზე. პარტია „ქართული ოცნება“, რომელიც ყველაზე მეტად არის წარმატებული ამ შემადგენლობაში და იცის, რომ ყველაზე მეტი ხმის მოპოვება შეუძლია, ფიქრობს, რატომ უნდა გაუყო სხვებს ის შედეგი, რომელიც შეუძლია მოიპოვოს.

2012 წელს ჩვენ ყველა ბიძინა ივანიშვილის გარშემო გავერთიანდით, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა და გემოვნების პარტიები, ადამიანები. მაშინ გვქონდა მიზანი, რომ უნდა დაგვემარცხებინა სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა, რაც წარმატებით განვახორციელეთ. ახლა რა საერთო აქვთ ამ ადამიანებს, გარდა თანამდებობებისა, კომფორტისა, ძვირადღირებული მანქანებისა და კაბინეტებისა?

ეს არის რეალობა. აქვე უნდა აღვნიშნო საარჩევნო კანონმდებლობა, რომელსაც კენჭი უყარეს. ახლა ცალ-ცალკე იყარონ კენჭი იმ საარჩევნო სისტემის ფონზე, რომელიც მიიღეს და ვნახოთ, რა შედეგებს დადებენ. ასე აგებს ყველა პასუხს. ეს სამართლიანობის კანონზომიერებაა.

***– რამდენად შესაძლებელია, რომ რესპუბლიკელებმა თავისუფალ დემოკრატებთან შექმნათ საარჩევნო ბლოკი?***

– ეს გამორიცხულია. ჩვენ არავისთან ვაპირებთ საარჩევნო ბლოკის შექმნას, ამ არჩევნებზე ჩვენ თავისუფლად, ინდივიდუალურად გავდივართ. დღევანდელი გადმოსახედიდან ჩანს, რომ თავისუფალმა დემოკრატებმა სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ კოალიცია დავტოვეთ. ჩვენ ვნახეთ, რას ნიშნავს მათთან პარტნიორობა, ეს ყველაფერი გამოვიარეთ, დიდი მადლობა ამისთვის, დავამთავრეთ ამ ხალხთან საარჩევნო რეჟიმში რაიმე ალიანსებსა და კოალიციებზე საუბარი.

***– რატომ?***

– ჩვენ მკვეთრად ჩამოყალიბებული ოპოზიციური ძალა ვართ და არავისთან ვაპირებთ გამარჯვების განაწილებას და გაერთიანებას. ეს გამორიცხულია.

# თენგიზ დიხამინჯია: „რესპუბლიკელებმა „ოცნებას“ კოლექტიური დარტყმა აცილეს“



გულიკო ბალაძე

**ქორწინების შესახებ კანონპროექტის პარლამენტში ინიცირების პარალელურად, რესპუბლიკელების „ქართულ ოცნებასთან" პოლიტიკური განქორწინება მოხდა. რა იყო რესპუბლიკელების კოალიციიდან გასვლის რეალური მიზეზი, კომპრომატები თუ ლიბერალური ღირებულებები?**

ექსპერტი თენგიზ დიხამინჯია აცხადებს, რომ რესპუბლიკელებისა და „ოცნების“ ცივილიზებული განქორწინების მოწმენი გავხდით და არჩევნებში მათი ცალ-ცალკე მონაწილეობა დადებითი პროცესია.

***– ბატონო თენგიზ, რით იყო განპირობებული რესპუბლიკელების გასვლა კოალიციიდან?***

– მიზეზი მმართველ გუნდში, დომინანტებში, უხილავ რეჟისორში უნდა ვეძებოთ.

***– უხილავი რეჟისორი ვინ არის და რას ნიშნავს?***

– უხილავ რეჟისორს მოთამაშე მწვრთნელი დავარქვათ. ეტყობა, რომ მოთამაშე მწვრთნელების მიღებული გადაწყვეტილებაა. რესპუბლიკელებიც დაემორჩილნენ მის გადაწყვეტილებას.

***– ანუ რესპუბლიკელებს არ უნდოდათ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა?***

– რესპუბლიკელები ყველანაირ კომპრომისზე წავიდნენ, რაც კი შეიძლებოდა. მათ წინაშე იდგა ამოცანა, რამენაირად მოხვედრილიყვნენ პარლამენტში, რაც კომპრომისებთან იყო დაკავშირებული.

***– რა კომპრომისებთან?***

– რესპუბლიკელებს მკაფიოდ გამოკვეთილი მსოფლმხედველობა გააჩნიათ, „ოცნების“ სხვა სუბიექტებისგან განსხვავებით.

***– ვითომ დასავლური ორიენტაცია?***

– ვითომ არის თუ რა, მათ გააჩნიათ ლიბერალურ ფასეულობებზე დაყრდნობილი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. სხვები რატომ არიან იქ, ცოტა გაუგებარია. ამიტომ რესპუბლიკელები დილემის წინაშეც იდგნენ, რადგან, ერთი მხრივ, საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულებაა მათ მიმართ (რასაც კარგად აცნობიერებენ), მეორე მხრივ, კომპრომისები თავიანთი გუნდელების მიმართ. კოალიციაც დასაშლელად მზად იყო. კოალიციის ამოცანა იყო სააკაშვილის გაშვება, რაც მიღწეულია.

***– ანუ კოალიციამ თავისი მისია შეასრულა?***

– სააკაშვილის დამარცხების შემდეგ კოალიციამ გარედან თუ შიგნიდან ხელი შეუწყო ნაციონალების ხელოვნურ გაცოცხლებას და მათ გაუხანგრძლივა არსებობა.

***– კოალიციის რომელი სუბიექტის ფაქტორის გამო მოხდა ნაციონალების გაცოცხლება?***

– არ ვიცი, მე მათ დიფერენციაციას ვერ მოვახდენ. დასავლელი პარტნიორებისა და კოალიციის დამსახურებით, მართვადი პოლიტიკური რეგულაციის საშუალებებით, აშკარად ხელოვნურად გახდა მეორე ნომერი ნაცმოძრაობა, რომელსაც მთელი საქართველო დასანახად ვერ იტანდა.

***– მახსოვს, თქვენ უსუფაშვილს აბრალებდით ნაციონალების გაცოცხლებას და მის განცხადებასაც იხსენებდით.***

– კი არ ვაბრალებდი, ვამბობდი.

***– ჰო, ამბობდით, რომ რესპუბლიკელები უწყობდნენ ხელს ნაციონალების გაცოცხლებას.***

– უსუფაშვილის ოფიციალური პოზიცია იყო, ნაცმოძრაობა ყველანაირად უნდა შევინარჩუნოთო. უსუფაშვილი შემთხვევით ფრაზებს არ ისვრის, თავდაჭერილი ადამიანია.

***– უსუფაშვილს რა ინტერესი ჰქონდა, რომ ნაციონალების გაცოცხლებას ხელი შეეწყო?***

– წარსულში პარტნიორები იყვნენ და ერთი ხელმძღვანელი ჰყავდათ უცხოეთში, ან ოკეანის გაღმა, ან ჩრდილოეთით, ან სადღაც – მართვის პულტი ვისაც გააჩნია გარედან. ორივე ძალა ლიბერალებად იწოდება. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ნაციონალები კრიმინალები არიან, რესპუბლიკელები კი არ იყვნენ კრიმინალები.

***– რესპუბლიკელების კოალიციიდან გასვლითა და კვირიკაშვილის განცხადებით, რომ პარტია „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას, დანარჩენი სუბიექტები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ანუ კოალიცია დაიშალა.***

– დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ეს ბუნებრივი პროცესია. იქ წინასაარჩევნოდ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები ბლოკს ქმნიან, მაგრამ, „ოცნებისგან“ განსხვავებით, ერთი ორიენტაციის პარტიები ქმნიან ბლოკს და არა – რადიკალურად განსხვავებული, როგორც „ოცნებაში“, რასაც პოლიტიკური აჯაფსანდალი დავარქვით თავის დროზე.

***– „ოცნებისა“ და რესპუბლიკელების ცალ-ცალკე მონაწილეობა არჩევნებში და კოალიციის დაშლა დადებითი პროცესია თუ უარყოფითი?***

– აბსოლუტურად დადებითი პროცესია. კარგია, რომ წივილ-კივილის, იარლიყებისა და ერთმანეთის ლანძღვის გარეშე დაშორიშორდნენ, რასაც ცივილიზებულად დაშორიშორებას დავარქმევდი. არის ქორწილი და არის განქორწინება.

***– სხვათა შორის, ქორწინების შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღების პროცესს მოჰყვა რესპუბლიკელებისა და „ოცნების“ განქორწინება. რესპუბლიკელები ხომ წინააღმდეგი იყვნენ ამ პროექტის მიღებისა.***

– ეს მაინც არ იყო ამ განქორწინების მთავარი მიზეზი.

***– ჩვენი წინასწარი საუბრის დროს მთავარ მიზეზად რესპუბლიკელებისთვის გარკვეული კომპრომატების დადება დაასახელეთ.***

– მე ვთქვი ის, რაც საზოგადოებაში იყო გავრცელებული. თუმცა, კომპრომატული შანტაჟის გამო არ მიიღეს რესპუბლიკელებმა ეს გადაწყვეტილება. მათი გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ რესპუბლიკელებმა „ოცნებას“ კოლექტიური დარტყმა აცილეს.

***– დღემდე რესპუბლიკელები სულ კოალიციურ პროცესებში მონაწილეობდნენ, ბოლო პერიოდში ჯერ სააკაშვილთან და ნაციონალებთან იყვნენ და წამოვიდნენ, ახლა – „ოცნებასთან“.***

– უფრო ადრე, 1992 წლის არჩევნებში, ნოდარ ნათაძის სახალხო ფრონტი იყო დომინანტი და მათთან იყვნენ, შემდეგ ირინა სარიშვილთან და სააკაშვილთან იყვნენ ახლოს. ყოველთვის სხვას გაჰყავდა რესპუბლიკელები პარლამენტში და ისე ხვდებოდნენ თანამდებობებზე.

***– ახლა, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის პირობებში, რა შანსები აქვთ რესპუბლიკელებს?***

– არანაირი შანსები არ აქვთ, მაგრამ იძულებული გახდნენ, დამოუკიდებლად მიეღოთ მონაწილეობა.

***– ჩვენს საზოგადოებაში ბევრს აწუხებდა რესპუბლიკელების ყოფნა „ოცნებასთან“. დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში, „ოცნება“ ისევ იქნება მმართველი პარტია?***

– რა თქმა უნდა, „ოცნება“ დომინანტი ყოველთვის იქნება. თუმცა, საზოგადოება „ოცნებისგან“ მოელის რეალურ რეფორმებს კონსტიტუციურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ-საარჩევნო სისტემაში.



## რა პრეტენზიები აქვთ უკრაინელებს ხატია დეკანოიძესთან

უკრაინული პორტალი „Информационный центр“, საქართველოს განათლების ექსმინისტრისა და პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორის ხატია დეკანოიძის შესახებ მასალას აქვეყნებს, სადაც ნათქვამია, რომ დეკანოიძე ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის ეკა ზღულაძის დაქალია და მას საქართველოში ბრალი აქვს წაყენებული. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ფრაგმენტს სტატიიდან:

– ხატია დეკანოიძე – საქართველოს განათლების ექსმინისტრი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, მუშაობდა საქართველოს პოლიციის აკადემიის რექტორად. იგივე თანამდებობაზეა უკრაინაშიც – იგი კიევში პოლიციის ეროვნულ აკადემიას ხელმძღვანელობს და „განზრახული“ აქვს უკრაინის საპოლიციო განათლების სფეროში საბჭოური გადმონაშთები აღმოფხვრას. ხატია დეკანოიძე ეკა ზღულაძის უახლოესი დაქალია. სამშობლოში მას ბრალი აქვს წაყენებული სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად სარგებლობაში, – წერს გამოცემა.

ნიუსპრესი

## გუბაზ სანიკიძე: „ახალ ფორმატზე გადასვლა „რესპუბლიკურმა პარტიამ“ და „ოცნებამ“ დაგვასწრო“



კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი სუბიექტი „ეროვნული ფორუმი“ არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს.

ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, ისინი კოალიციას დატოვებენ.

– რესპუბლიკელებმა და „ოცნებამ“ გადაწყვეტილების მიღება ფაქტობრივად, დაგვასწრეს. ჩვენი ყრილობის დღის წესრიგი შეიცვლება. უცხადესია, რომ ფორუმი არჩევნებში ცალკე გავა. მთავარი კითხვა უკვე არის იმის შესახებ, დავრჩებით თუ არა კოალიციაში. თუ არ დავრჩებით კოალიციაში, შესაბამისად, უმრავლესობაშიც აღარ დავრჩებით, უმრავლესობის გარეშე პარლამენტს კი ცოტა გაუჭირდება, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

შეგახსენებთ, რომ 31 მარტს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ ხათუნა სამნიძემ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე პარტიის გადაწყვეტილება გაასაჯაროვა, რომლის მიხედვითაც, რესპუბლიკური პარტია 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს, თუმცა მისივე თქმით, მთავრობის წევრი რესპუბლიკელები თანამდებობებს არ დატოვებენ.

ნიუსპრესი

# „რესპუბლიკელები ივანიშვილთან ჩაიჭრნენ“

## კახა კუკავა: „ივანიშვილმა მოახდინა რესპუბლიკელების სრული მარგინალიზაცია და მერე გაემიჯნა მათ“

ნონა ცაბაძე

**ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა აფასებს.**

***— ბატონო კახა, კოალიცია დაიშალა. რა პროცესები მიმდინარეობს?***

— ეს არის დაახლოებით ის პროცესი, რომელიც განვითარდა 2000-იანი წლების დასაწყისში, როცა დაიწყო მოქალაქეთა კავშირის რღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა შევარდნაძის რეჟიმის დემონტაჟი.

***— ახლა რა ხდება?***

— ახლაც მიმდინარეობს „ოცნების“ რღვევა, რაც ლოგიკურად უნდა დასრულდეს ივანიშვილის რეჟიმის დემონტაჟით. ჯერ გამოიყენა ეს პოლიტიკური პარტიები ივანიშვილმა ოთხი წლის განმავლობაში. სანამ იყვნენ კომფორტში, ყველა მათგანი იყო გაჩუმებული, არცერთ მათგანს არ ჰქონდა არაფერზე პროტესტი და ახლა, როდესაც მათი საჭიროება აღარ არის, ივანიშვილმა ყველას მიუთითა კარისკენ.

***— ანუ ივანიშვილს აღარ სჭირდება კოალიციაში შემავალი პარტიები?***

— რა თქმა უნდა, აღარ სჭირდება, ამ პარტიებმა თვითონ დაიმარხეს საკუთარი თავი გასული წლის განმავლობაში, როდესაც პარლამენტში ეძინათ და არაფერზე პოზიცია არ გამოუთქვამთ. პარტია ფასეულია მაშინ და პარტიას ჰყავს ელექტორატი, თუ მას აქვს თავისი საკუთარი პოზიცია.

***— რა გარანტია აქვს ივანიშვილს, რომ არჩევნებზე ამ პარტიების გარეშე შეძლებს უმრავლესობის მოპოვებას?***

— ეს პარტიები მას არც პლუსს აძლევენ, არც მინუსს, უბრალოდ, მანდატები უნდა მიეცა მათთვის. ივანიშვილს არც მათთან ერთად ჰქონდა რაიმეს გარანტია. მან ჩათვალა, რომ რა პროცენტსაც აიღებს, ის ბოლომდე მის მიერ იყოს კონტროლირებადი და არ გაუყოს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა ერთგულებაშიც ბოლომდე დარწმუნებული არ არის.

***— ამ მოცემულობით პარლამენტში უმრავლესობის დაშლის საშიშროება არ არის?***

— ივანიშვილის მეთოდი ქართულ პოლიტიკაში არის ვაჭრობა, მატერიალური დაინტერესება პოლიტიკური ძალების. მაგალითად, რესპუბლიკელებს დაუტოვა მინისტრების პოსტები, სხვები შეიძლება ფინანსურად დააინტერესოს და ამის ხარჯზე ის იმედოვნებს და სწორად იმედოვნებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა არ დაეშლება.

***— ანუ მოისყიდის პარტიებს უმრავლესობის შესანარჩუნებლად?***

— რასაკვირველია. ზოგს იმასაც დაჰპირდება, ელჩად გაგიშვებო, ზოგს მინისტრებად ტოვებს. გარდა ამისა, პრაქტიკულად მას უმრავლესობა არჩევნებამდე დარჩენილ რამდენიმე თვეში არც სჭირდება, რადგან პარლამენტი პრაქტიკულად წყვეტს მუშაობას.

***— ხედავთ იმის საჭიროებას, რომ რესპუბლიკელი მინისტრები გადააყენონ?***

— ხომ ითქვა, რომ ისინი არჩევნებამდე შეინარჩუნებენ ამ პოსტებს.

***— თუმცა ისიც დააყოლეს, ვნახოთ, რა მოცემულობა იქნებაო. ეს კითხვის ნიშნებს არ ტოვებს?***

— ზუსტად ეს არის. მოცემულობაში იგულისხმება ის, თუ პარლამენტში ჭკვიანად იქნებიან. თუ ჭკვიანად არ იქნებიან, მაშინ მინისტრების პოსტებს დაკარგავენ. აი, ამაზე ვაჭრობენ. ბიძინა ივანიშვილმა ზუსტად იცის მათი მართვის წერტილი, იცის, რაზე უნდა ევაჭროს.

ეს ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ 2012-ში, როდესაც მან პოლიტიკურ პარტიებს ჩაურიცხა თითო მილიონი ლარი და მოითხოვა მათგან, რომ უარი ეთქვათ თავიანთ დამოუკიდებლობაზე, პრინციპებზე, გადააკეთა პრორუსული პარტიები პროდასავლურად, პროდასავლური — პრორუსულად და ეს ყველაფერი გააკეთა ფულის ხარჯზე. მან იცის, რომ ეს შესაძლებელია. შესაძლოა, ის ფიქრობს და ფიქრობს სწორადაც...

***— რას ფიქრობს?***

— იმას, რომ სხვა არჩევანი აღარც აქვთ ამ პოლიტიკურ ძალებს, რადგან თვითონვე შეიყვანეს თავი ჩიხში.

***— პროცესების რა განვითარებას უნდა ველოდოთ? რამდენად მოითბობს ამ სიტუაციით ხელს ნაციონალური მოძრაობა? ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ ახალი ალიანსები ვიხილოთ. ეს „ოცნებას“ არ დააზარალებს?***

— რაც შეეხება ახალ ალიანსებს, არა მგონია, რომ ეს რეალობასთან ახლოს იყოს. ეს უფრო „ოცნების“ მიერ გავრცელებული ხმებია.

***— რისთვის?***

— ავტორიტარული რეჟიმები ყოველთვის იგონებენ მტრის ხატს. დღეს „ქართულ ოცნებას“ ჰაერივით სჭირდება ნაციონალური მოძრაობა. „ქართული ოცნება“ არის ბოლომდე გაკოტრებული. ვერცერთი საარჩევნო დაპირება მან ვერ შეასრულა. გუნდში დარჩნენ დისკრედიტებული და გამარგინალებული სახეები. მისი ერთადერთი შანსი ამ არჩევნებზე არის ის, რომ დააშინოს ქართველი ამომრჩეველი — აი, ნაციონალები მოდიან.

***— ეს არის ბიძინა ივანიშვილის დამოუკიდებელი თამაში და კოალიციაც მისი ინიციატივით დაიშალა?***

— კი, რა თქმა უნდა. კოალიცია დაიშალა მისი ინიციატივით და დღეის გადასახედიდან ჩანს, რომ საგარეჯოს არჩევნებიც იყო წინასწარ დაგეგმილი.

***— რას გულისხმობთ?***

— ყველას უკვირდა, რატომ დაუთმო „ოცნებამ“ რესპუბლიკელებს საგარეჯოში მანდატი. აი, ბატონებო, ამიტომ დაუთმო. ეს იყო წინასწარ დაგეგმილი თამაში. ივანიშვილმა კარგად იცოდა, რომ რესპუბლიკელები სამართლიანად ვერ მოიგებდნენ ამ არჩევნებს, რომ მათ დასჭირდებოდათ გაყალბება და წინასწარ შეუქმნა მათ ის ფონი, რომელიც შეუქმნა.

რესპუბლიკელებმა კი ვერ გამოიცნეს ეს თამაში და რეალურად მათ ერთი მანდატის საფასურად, რომელსაც არანაირი ფასი არ ჰქონდა, მიიღეს ბევრი პროპაგანდისტული მინუსი.

***— ეს წინასწარ დაგეგმილი იყო და რესპუბლიკელებმა ვერ ჩააბარეს გამოცდა?***

— ვერ ჩააბარეს, ისევე, როგორც ვერ ჩააბარეს მეორე ტესტი, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებით ჩაატარა ივანიშვილმა ანუ მოახდინა რესპუბლიკელების სრული მარგინალიზაცია და მერე გაემიჯნა მათ. ეს იყო ივანიშვილის თამაში და ამ ეტაპზე რესპუბლიკელები დამარცხდნენ.

***— რატომ არ ტყდებოდნენ ბოლო წუთამდე რესპუბლიკელები? რატომ აჩვენებდნენ თავს საზოგადოებს ისე, თითქოს არაფერი შეცვლილა?***

— სავარაუდოდ, იქ მიდიოდა ვაჭრობა, რესპუბლიკელებმა, ალბათ, შეამცირეს თავიანთი მადა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება და არანაირ წინადადებას, არც შემცირებულ კვოტებს არ დათანხმდა. ივანიშვილმა გადაწყვიტა, მანდატები აღარავის გაუყოს და რასაც აიღებს, თავისი იყოს.

ივანიშვილს უმრავლესობა რომ ჰქონდა, იმიტომ ჰქონდათ პირში წყალი ჩაგუბებული ამ პარტიებს, თორემ ნახავთ, ცოტა ხანში იგივე რესპუბლიკელები როგორ დაიწყებენ მის ლანძღვას. ალაპარაკდებიან არაფორმალურ მმართველობაზე, ოდეერებზე, სუსზე და ასე შემდეგ.

***— ანუ უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ ამ დაპირისპირებას?***

— ამისი პირველი ნიშნები უკვე ჩანს.

***— ამბობენ, რომ რესპუბლიკელების შანსი არჩევნებზე ნულის ტოლია, თუ ახალი ალიანსი არ შექმნეს. ვისთან ვარაუდობთ მათ ალიანსს?***

— რესპუბლიკელებს კოალიციის შექმნის შანსიც არ აქვთ, იმდენად მოახდინეს საკუთარი თავის მარგინალიზაცია. ნაციონალები უფრო მოახერხებენ კოალიციის შექმნას, ვიდრე რესპუბლიკელები, თუმცა ჩემთვის ესეც წარმოუდგენელია. ფაქტია, რომ რესპუბლიკური პარტია არანაკლებ მარგინალიზებულია, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა. მე მეეჭვება, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არსებობდეს პარტია, რომელიც რესპუბლიკელებთან ალიანსს დათანხმდება.



**რესპუბლიკური პარტია არანაკლებ მარგინალიზებულია, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა. მე მეეჭვება, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არსებობდეს პარტია, რომელიც რესპუბლიკელებთან ალიანსს დათანხმდება**

# ზურაბ ტყემალაძის შვილს „ქართული ოცნების“ სიაში სვამენ?

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის პრემიერმა 31 მარტს გვამცნო, წლევანდელ არჩევნებში „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობასო. ამას კოალიციაში შემავალი სუბიექტები უცნაური სიმშვიდით შეხვდნენ. რესპუბლიკელები მეოცნებეებს ოფიციალურად გაშორდნენ, გუბაზ სანიკიძე და მისი ფორუმი 3 აპრილს დატოვებენ მმართველ გუნდს. დანარჩენები ამ ეტაპზე პოზიციის დაფიქსირებისგან თავს იკავებენ.

დიდი ვნებათაღელვა არც მრეწველებს ეტყობოდათ. როგორც ამბობენ, ამის მიზეზი მეოცნებეებთან მიღწეული შეთანხმებაა, რომლის თანახმადაც, რამდენიმე მრეწველს „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ჩასვამენ.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად ჩვენ გოგი თოფაძეს დავუკავშირდით. თოფაძემ კომენტარზე უარი არ გვითხრა, თუმცა ამისთვის ერთი პირობა დააყენა.

— კომენტარზე უარს არ ვამბობ, უბრალოდ, ხანდახან ჩემი ნათქვამი მახინჯდება. ასე ვერ ვილაპარაკებ, „ახალ თაობას“ თუ პირდაპირი ეთერი გაქვთ, ჩაგერთვებით და ყველაფერზე ვილაპარაკებ, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მრეწველთა ლიდერმა.



გავრცელებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ზურაბ ტყემალაძის შვილი, გიორგი ტყემალაძე იქნება. ის ამ მომენტისთვის დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა. ამ ახალგაზრდამ ერს თავი რეკორდული ოდენობის საწვავის ხარჯვით დაამახსოვრა.

ამ თემაზე კომენტარი ზურაბ ტყემალაძემ „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში გააკეთა. დეპუტატი ამტკიცებს, რომ მისთვის შვილის სიაში ჩასმა არავის შეუთავაზებია.

— მრეწველები პარტიის გაყიდვით არ გამოვირჩევით, ჩემი შვილის სიაში ჩასმა არავის შემოუთავაზებია, არავის უკადრებია. ჩვენ ძალიან წარმატებული პარტია ვართ. ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი კი ამბობს, რომ 2008 წელს ბარიერი ვერ გადავლახეთ, თუმცა ამ წელს გაყალბებების დიდი კასკადი იყო. 1999 წლიდან რაც კი არჩევნები ჩატარებულა, ჩვენ კვალიფიციური პარტიის სტატუსს ვინარჩუნებთ, — აღნიშნა დეპუტატმა.

მას მრეწველების ძალებში ეჭვი არ ეპარება, თუმცა ამბობს, რომ ჯერ არ იციან, რა ფორმატით მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას.

როგორც ტყემალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, კონსულტაციები აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებლად გაიმართება.

— არსებობენ განსხვავებული პოლიტიკური მიმართულების პარტიები — მემარჯვენეები, მემარცხენეები, ცენტრისტები ლიბერალები და ა.შ. თუმცა, მათ გარკვეული საერთო აქვთ. ლიბერალებთან ჩვენ არასოდეს ვითანამშრომლებთ. ჯერ შიდაპარტიული კონსულტაციები გვექნება, შემდეგ — პოლიტიკურ პარტიებთან. მოვლენებს ჯერ წინ ნუ გავუსწრებთ. პირველ რიგში განვიხილავთ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს, — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

სამომავლო გეგმები არც მრეწველების „მოტრფიალე“ რესპუბლიკელებს აქვთ ნათლად ჩამოყალიბებული. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათ, შესაძლოა, ნაციონალებთან ერთად შექმნან საარჩევნო ბლოკი.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, წინასაარჩევნოდ ისინი არავითარ ბლოკში გაერთიანებას არ აპირებენ და არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებენ.

— ერთხელ და სამუდამოდ შევაწყვეტინებთ მტერს და მოყვარეს საუბარს, როგორ ვერ გვიტანენ. თუ ვერ გვიტანენ, წავალთ სახლში. ყველა გამოვცდით, როგორ ვუყვარვართ ქართველ ხალხს, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

# ცესკომ პარლამენტის არჩევნებისთვის მაჟორიტარული ოლქების საზღვრები დაამტკიცა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის (კანონით განსაზღვრული შესაბამისი ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში) 30 ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის საზღვრები დაამტკიცა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ამომრჩეველთა ხმების ძალა ადეკვატურად გამოიხატება მანდატის წონაში ანუ მიღწეულია „ხმის თანაბრობის“ ფუნდამენტური პრინციპი, რომლის დანერგვაზეც წლების განმავლობაში საკუთარ რეკომენდაციებს წარმოადგენდნენ ვენეციის კომისია, ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

როგორც ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, საარჩევნო ადმინისტრაციამ (ცესკო, საოლქო საარჩევნო კომისიები) საკმაოდ მოკლე ვადაში უზარმაზარი სამუშაო შეასრულა.

— ჩვენ საზღვრების დელიმიტაციის პროექტის მომზადებაც მოვახერხეთ, პროცესის საჯაროობა უზრუნველვყავით, გავმართეთ საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები, — აღნიშნა თამარ ჟვანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას და მადლობა გადაუხადა ცესკოს, საოლქო საარჩევნო კომისიების თანამშრომლებსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს, ვინც ჩაერთო და მონაწილეობა მიიღო ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პროექტი მაჟორიტარული ოლქების საზღვრებთან დაკავშირებით 14 მარტიდან გაასაჯაროვა; პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო სექტორთან, ეროვნულ უმცირესობებთან, საკრებულოს ქალთა ჯგუფებთან გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნისა და მათი საზღვრებისა და ნომრების განსაზღვრისთვის კანონმდებლობით გაწერილი ვადა მიმდინარე წლის 1-ლ აპრილამდე ჰქონდა.

ნიუსპრესი

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დასავლეთ საქართველოში ყინვამ კივის პლანტაციები დააზიანა



უამინდობამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ქართველ ფერმერებს: უჩვეულოდ თბილ თებერვალს მარტის სუსხიანი და ცივი ამინდები მოჰყვა, რამაც დასავლეთ საქართველოში ხეხილის ნარგავები ერთიანად დააზიანა. გურიასა და სამეგრელოში მცხოვრები ფერმერების თქმით, მათ სოფლებში ვაშლი, მსხალი, ტყემალი და ვაზი უკვე აყვავებული იყო, თუმცა, ყინვამ და სიცივემ ყველაფერი დააზიანა, ყველაზე მეტად კი კივის პლანტაციები.

**ჯაბა ჭეიშვილი, ფერმერი, ოზურგეთის რაიონის მკვიდრი:**

— არც მიკვირს, რომ კივის მოსავალი ნაკლები მოვიდეს: თებერვალში ტემპერატურამ 20-25 გრადუსს მიაღწია, მერე კი, თბილ ამინდებს ერთბაშად უამინდობა მოჰყვა: მარტის დასაწყისში ჩვენს რაიონში თოვლი მოვიდა და უკვე აყვავებული კვირტები ძირს ჩამოყარა. საერთოდ, კივის ნარგავებს ყინვა და სიცივე ყველა სხვა კულტურაზე მეტად აზიანებს, რის გამოც გურიაში კივი მთლიანად განადგურდა. ყინვას თხილი უძლებს, ხოლო კივი მინუს 1 გრადუსზეც კი ზიანდება. ოზურგეთის ახლო-მახლო ბევრი სოფელი დაზარალდა. ამ სოფლებში კივის მოსავლის იმედი წელს უკვე აღარა აქვთ.

კივის პლანტაცია დაუზიანდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიას მკვიდრ დემურ ფიფიასაც, რომელიც ამავე სოფელში დაარსებული კოოპერატივის „ტყაია-2015“-ის თავმჯდომარეა.

— სხვა მცენარეების მსგავსად, კივი უკვე აყვავებული იყო. ასეთ დროს ერთი ღამეც რომ იყოს ყინვა, საკმარისია, რომ კივის მოსავალი განადგურდეს. კივის ფოთლები მთელ ბაღში ყრია, რაც ნიშნავს, რომ წელს კარგ მოსავალს არ უნდა ველოდეთ. ალბათ მოსავლის 10 პროცენტს თუ ავიღებთ. ჩემს პლანტაციაში წელიწადში 4-5 ტონა კივი მოდიოდა, წელს კი, 100 კილოგრამი თუ მოვა, მადლობელი ვიქნები. მინდა კიდევ ერთი სატკივარი გაგიმხილოთ: სადაზღვევო კომპანიები სათანადოდ არ გვეხმარებიან. მათ პროგრამაში მხოლოდ საშემოდგომო წაყინვაა ნახსენები, საგაზაფხულო წაყინვას კი საერთოდ არ აფინანსებენ. არადა, შემოდგომის ყინვა ისე მავნებელი არ არის, როგორც გაზაფხულისა. რამდენჯერმე დავსვით ეს საკითხი სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე, მაგრამ ჯერჯერობით მიზანს ვერ მივაღწიეთ. შარშანწინ ტრენინგებზე წაგვიყვანეს თურქეთში და გული დამწყდა: იქ ფერმერი ავტომატურად არის დაზღვეული ასეთი ზარალისგან, დოტაციას აძლევენ, ხელს უწყობენ... ჩვენ ამას ოდესმე თუ ველირსებით?! – აღნიშნავს დემურ ფიფია.

ზუგდიდის რაიონში, სოფელ ზედა ეწერში შპს „გემოვანის“ წევრებს კივი 10 ჰექტარზე აქვთ გაშენებული. როგორც შპს-ის დირექტორმა, მერაბ ფიფიამ გვითხრა, მათი პროდუქცია ევროპელმა სპეციალისტებმა შეამოწმეს და დაადგინეს, რომ მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს.

**მერაბ ფიფია:**

– სრული უფლება გვაქვს, რომ ჩვენი პროდუქცია უცხოეთში გავიტანოთ. შარშან 25 ტონა კივი მოვიწიეთ, რომელიც ერთმა კერძო ფირმამ მთლიანად შეისყიდა. წელს პლანტაცია გავაფართოვეთ და უკვე 70 ტონა მოსავალს ველოდით, მაგრამ ყინვამ დაგვიზიანა. გაზაფხულის ყინვა ამ დროს ჩვეულებრივი ამბავია და მსგავსი რამ მარტში კი არა, აპრილშიც შეიძლება მოხდეს. კივი ძალიან მგრძნობიარეა ყინვის მიმართ, როგორც, მაგალითად, ჩაი. მარტო ერთ ღამეს იყო -3,5-3,6 გრადუსამდე ყინვა და კივის ნარგავები მეტისმეტად დააზიანა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან კივის პლანტაციისთვის -1 გრადუსი ყინვაც კი საშიშია.

მერაბ ფიფია ამბობს, რომ ჯერ ზიანი არ დაუთვლიათ, მაგრამ როგორც კი ამინდები გამოვა და კივის ნერგებიც გამოიღვიძებს, მაშინ დაადგენენ, რამდენი პროცენტია დაზიანებული.

— ჩვენ ერთი კვირით ადრე ვიცოდით, რომ ყინვა იქნებოდა, მოვიმარაგეთ საბურავები, ნახერხი, რომ პლანტაციის ირგვლივ ცეცხლი დაგვენთო და მოსავალი გადაგვერჩინა. ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთეთ, მაგრამ პლანტაცია ვერ დავიცავით. კიდევ კარგი, 10 ჰექტარზე თხილიც გვაქვს გაშენებული და თხილის მოსავალი მაინც გადაგვირჩა. ძალიან დიდი გეგმები გვაქვს, არსებობს სპეციალური გაზქურები, რომელსაც ირანი უშვებს და მათი დახმარებით პლანტაციაში სითბოს შენარჩუნება შეიძლება. რაღაც გამოსავალი უნდა მოვძებნოთ, რომ ასეთ შემთხვევებს მომავალში უფრო მომზადებულები შევხვდეთ, — აღნიშნავს მერაბ ფიფია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის საკითხებში აკაკი ღლონტი ამბობს, რომ ქართული კივი ბევრად უკეთესია იმპორტირებულთან შედარებით, რადგან ჩვენს გლეხებს ყოველგვარი ქიმიური საშუალებების გამოყენების გარეშე მოჰყავთ.

**აკაკი ღლონტი:**

— საქართველოში მოწეული კივი არ ინახება სპეციალურ ხსნარებში, მაგალითად, ფორმალინში, შესაბამისად, ის ბიოლოგიურად სუფთაა, ამიტომ ძალიან საწყენია, რომ ყინვამ კივის მოსავალი თითქმის გაანადგურა.

ეს იყო ე.წ. საგაზაფხულო წაყინვა — ასე ვუწოდებთ სპეციალისტები ამ უსიამო მოვლენას: წაყინვა ჰქვია გაზაფხულზე, ვეგეტაციის დროს, ნაყოფის დაზიანებას. სულ სხვაა მოყინვა, რომელიც ზამთარში ხდება — ეს ორი სხვადასხვა მოვლენაა. 15-20 აპრილამდე საგაზაფხულო წაყინვა ყოველთვის არის მოსალოდნელი. არსებობს სხვადასხვა მეთოდი, რომლითაც პლანტაციის დაცვა შეიძლება, მაგრამ ამის საშუალება ჩვენს ფერმერებს არა აქვთ. ასევე არა აქვთ უახლესი ტექნოლოგიების შეძენის საშუალებაც. სწორედ ამიტომ ყიდულობს ჩვენი მოსახლეობა უცხოურ კივს, რომელიც კარგად არის შენახული და ვიზუალურად უფრო ლამაზია, ჩვენი გლეხები კი, კივი რომ დალპება და დაზიანდება, ყრიან, რითაც დიდ მატერიალურ ზარალს ნახულობენ. თუ ახალ ტექნოლოგიებს არ დავნერგავთ და ამ დარგს სათანადოდ ხელს არ შევუწყობთ, ქართველი გლეხისაგან სოფელი სულ მალე დაიცლება.

**ბიპიენი**

# ოკუპირებულ აფხაზეთში უცხოელებისთვის შესვლისა და გასვლის წესები იცვლება



ოკუპირებულ აფხაზეთში უცხოელებისთვის შესვლისა და გასვლის წესები იცვლება. ე.წ. ვიზის გარეშე აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლა დღეიდან მხოლოდ იმ ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ, რომელსაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარებული აქვთ. როგორც აფხაზეთის ე.წ. პარლამენტში აცხადებენ, ეს სიახლე საიმიგრაციო კონტროლის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. გარდა ე.წ. კანონისა, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის წესებს ადგენს, 1-ელი აპრილიდან ამოქმედდება „კანონმდებლობა“ უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

აფხაზეთის დამოუკიდებლობას ამ დროისთვის მხოლოდ რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ აღიარებენ. აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს ტუვალუმ და ვანუატუმაც, თუმცა შემდეგ აღიარება უკან წაიღეს.

**ბიპიენი**

# თბილისში 12 ადგილზე მრავალსართულიანი პარკინგის ასაშენებლად ტენდერი გამოცხადდება

უახლოეს მომავალში თბილისში, 12 ადგილზე მრავალსართულიანი პარკინგის ასაშენებლად ტენდერი გამოცხადდება. როგორც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ბიზნესასოციაციასთან და ბიზნესმენებთან შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, შეხვედრაზე ბიზნესმენებისგან დედაქალაქის მერიის წარმომადგენლები მოისმენენ სხვადასხვა წინადადებებს და საკითხებს, რამაც შესაძლოა ბიზნესის პოლიტიკის კუთხით დედაქალაქის პოლიტიკა შეცვალოს. ნარმანიას თქმით, ბიზნესმენებთან შეხვედრაზე საუბარი შეეხება სხვადასხვა ტენდერებს.

— დღეს ვისაუბრებთ იმ პროექტსა და პროგრამებზე, რომელიც ქალაქის მასშტაბით ხორციელდება და მომავალშიც არის დაგეგმილი. ასევე განსაკუთრებით გავუსვამთ ხაზს იმ პროექტებს, რომელშიც ბიზნესს შეუძლია მონაწილეობის მიღება. იქ საუბარი იქნება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ, არამედ საინვესტიციო პროექტებზე.



უკვე გამოცხადებულია ქალაქის ტერიტორიაზე ავტობუსების გაჩერებების საინვესტიციო ტენდერი, სადაც რეკლამით დაინტერესებულ კომპანიებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

**ბიპიენი**

# აბაშიძის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე მონაკვეთი დროებით დაიკეტება

ალმაშენებლის გამზირზე საინჟინრო საკომუნიკაციო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, აბაშიძის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე მონაკვეთი დროებით დაიკეტება.

თბილისის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, პროექტ „ახალი ტფილისის“ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მიწისქვეშა საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები იწყება.

— აღმაშენებლის გამზირზე — აბაშიძის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე — მთლიანად განახლდება სასმელი წყლის მიწოდების ცენტრალური სისტემა, სადრენაჟე, სანიაღვრე და წყალარინების (კანალიზაციის) ქსელები, ელექტრობის და გაზმომარაგების სისტემები, ასევე განახლდება სუსტი დენების ცენტრალური გაყვანილობაც.

გამომდინარე იქიდან, რომ საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების განახლება საჭიროებს გამზირზე დიდი მოცულობის მიწის სამუშაოების წარმოებას (კერძოდ 4-5 მეტრი სიღრმის და დიდი სიგანის მქონე თხრილის ამოღება-შევსებას), 2 აპრილიდან 30 სექტემბრამდე საავტომობილო მოძრაობა შეიზღუდება დავით აღმაშენებლის გამზირზე — №72-დან (დ.აბაშიძის ქუჩის კუთხიდან) ჭოროხის ქუჩის ჩასახვევამდე. ამ ეტაპამდე საავტომობილო მოძრაობა, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, შეზღუდული იყო მხოლოდ ჭოროხის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე მონაკვეთზე.




აღმაშენებლის გამზირზე საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვის მოქმედების პერიოდში, ალტერნატიული სატრანსპორტო სქემა იქნება შემდეგი:

დავით აღმაშენებლის გამზირზე მარჯანიშვილის მოედნიდან — ჭოროხის ქუჩის გავლით სანაპიროსკენ მიმავალი ნაკადების ალტერნატიული მარშრუტით მოძრაობა სანაპიროსკენ შესაძლებელი იქნება აბაშიძის ქუჩაზე უზნაძის ქუჩისკენ და მარცხენა სანაპიროსკენ, ჭოროხის ქუჩის და სანაპიროს კვეთის გავლით.

დავით აღმაშენებლის გამზირზე კ. მარჯანიშვილის მოედნიდან — ჭოროხის ქუჩის გავლით მშრალი ხიდისკენ და ზაარბრიუკენის მოედნისკენ მოძრავი ნაკადების მოძრაობა შესაძლებელი იქნება აბაშიძის ქუჩაზე უზნაძის ქუჩის გავლით რომის ქუჩის კუთხემდე და მშრალი ხიდის პანდუსის გავლით.

საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების განახლების სამუშაოების წარმოების დროს, დროებით შეიზღუდება მოძრაობა დავით აღმაშენებლის გამზირის გადამკვეთ — კიევის და რომის ქუჩებზეც (გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ქუჩა უერთდება სრულად გადაკეტილ აღმაშენებლის გამზირს და გარდა ამისა, საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების განახლების სამუშაოები მოიცავს, ასევე რომის ქუჩასაც, — ნათქვამია ინფორმაციაში.

ქალაქ თბილისის მერია ბოდიშს იხდის მოძრაობის შეფერხებისთვის.

**ბიპიენი**

# რა პოტენციალი აქვს ქართულ ლიმონათს საექსპორტოდ



ბოლო პერიოდში ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია.

გაზრდილია იმ პროდუქციის ჩამონათვალიც, რომელიც ქვეყნიდან საზღვარგარეთ, მათ შორის ევროპაში გადის.

წლებია, ექსპორტში ქართულ ღვინოსა თუ მინერალურ წყლებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს. ბოლო დროს კი სასმელების ჩამონათვალში ქართული ლიმონათიც აქტიურად ფიგურირებს. ქართულ საექსპორტო პროდუქციას შორის ლიმონათი საინტერესო მიმართულებაა.

სტატისტიკური მონაცემებით, 2015 წლამდე სასმელების ექსპორტი სტაბილურად მზარდი იყო. გასულ წელს კი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში 2013 წელს მინერალური წყლებისა და ტკბილი გაზიანი სასმელების ექსპორტისგან დაახლოებით 170 ათასი დოლარი შემოვიდა. 2014-ში აღნიშნული მონაცემი 280 ათასი დოლარი იყო, 2015-ში კი მონაცემი მკვეთრად შემცირდა და ის 180 ათას დოლარს გაუტოლდა.

ლიმონათის ექსპორტის მოცულობის შემცირებას კომპანია ,,ნატახტარი“ უმსხვილეს საექსპორტო ბაზრებზე შექმნილ რთულ ეკონომიკურ ვითარებას უკავშირებს.

— კომპანიის ექსპორტის 80%-ზე მეტი მოდის აზერბაიჯანზე, რუსეთზე, სომხეთსა და ყაზახეთზე. ამ ქვეყნების ეკონომიკური ვითარებისა და ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო, ექსპორტის მოცულობა 2015 წელს, 2014-თან შედარებით, დაახლოებით 10%-ით შემცირდა, – აცხადებენ კომპანიაში.

ქართული ლიმონათის საექსპორტო პოტენციალზე დადებითად აისახება ის ფაქტი, რომ ბევრ ქვეყანაში ლიმონათი ნაკლებად ცნობილი სასმელია.

– ლიმონათი სხვა ქვეყნებისთვის ნაკლებად ცნობილი სასმელია, ამიტომ, პირველ რიგში, მის მიმართ არსებობს ინტერესი. ცნობისმოყვარეობას გემო ამართლებს, იშვიათია ქვეყანა, სადაც ლიმონათს მოწონება არ დაემსახურებინოს. ეს საამაყოა არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული კომპანიისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის, – აღნიშნავენ ,,ნატახტარში.“

კომპანიაში იმედოვნებენ, რომ საექსპორტო ქვეყნების რაოდენობის ზრდის ხარჯზე 2016 წელს ექსპორტის მოცულობა ტრადიციულად გაიზრდება.

2015 წელს ,,ნატახტარის“ ლიმონათი 24 ქვეყანაში გავიდა ექსპორტზე, მათ შორისაა: აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, უკრაინა, კვიპროსი, გერმანია, აშშ, ლატვია და საბერძნეთი.

აღსანიშნავია, რომ ქართული ალკოჰოლური თუ არაალკოჰოლური სასმელების კომპანიები საკმაოდ აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ სასმელი პროდუქტების საერთაშორისო გამოფენებში, რაც მათ ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და ათვისებაში ეხმარებათ.

**ბიპიენი**

# შალვა ნათელაშვილი: „ფულისა და ვერცხლის თაყვანისცემით შექმნილი მმართველი კოალიცია დაიშალა“



ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის განცხადებით, საქართველოში იწყება ახალი პოლიტიკური პროცესი და ლოგიკურია ის, რაც მოხდა მმართველ კოალიციაში.

— ფულისა და ვერცხლის თაყვანისცემით ივანიშვილის გარშემო შექმნილი მმართველი კოალიცია დაიშალა, ხოლო ხელისუფლება ჩამოიშალა. გილოცავთ ამ ისტორიულ მოვლენას. საქართველოში დღეიდან იწყება ახალი პოლიტიკურ-დემოკრატიული პროცესი, რის შემდეგაც ჩვენ არასდროს არ უნდა ავირჩიოთ ფულის და ანგარებაზე მორბენალი პარტიები, რომლებიც შეფარებული იქნებიან სხვადასხვა ბლოკებსა და ალიანსებში და ჩვენ სამუდამოდ უნდა გადავუკეტოთ მილიონერთა კასტას ხელისუფლებაში შემოსაძვრომი ყველა ხვრელი, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

მისივე თქმით, კოალიციის სუბიექტებმა დაშლამდე მოასწრეს, რომ ეკონომიკას მიეღო ინსულტი, სოციალურ პოლიტიკას ინფარქტი, პოლიტიკას კოლაფსი, ხელს გააყოლეს რამდენიმე მილიარდი და შემოაღობინეს ოკუპანტებს ქართული ტერიტორიები.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის თქმით, საჭიროა ქვეყანაში პარტიული სისტემების მშენებლობა, სადაც ყველა პარტია ხალხის წინაშე საკუთარი იდეითა და პლატფორმით წარდგება.

— ჩვენ უნდა უარვყოთ ალიანსებისა და კოალიციების გზა წინასაარჩევნო ეტაპზე. კოალიციური მთავრობა კი ბატონო, მაგრამ წინასაარჩევნო ეტაპზე ყველა პარტია ხალხის წინაშე უნდა წარდგეს თავისი იდეით, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ლინას ლინკევიჩიუსი: „ნატოს საკუთარი თავის ეშინია“



— ჩვენ იქამდე მივედით, რომ საკუთარი თავის გვეშინია.

ეს განცხადება ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩიუსმა „ამერიკის ხმის“ რუსულ რედაქციასთან ინტერვიუში, ნატო-რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას გააკეთა.

ინტერვიუში მინისტრი ამბობს, რომ მისი ქვეყანა საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების მხარდაჭერის თაობაზე პოზიციას ინარჩუნებს.

მისივე თქმით, ნატომ წარსულიდან გაკვეთილი უნდა ისწავლოს და საკუთარი მოქმედებისა თუ უმოქმედობის შედეგები გათვალოს.

ლინას ლინკევიჩიუსმა შეცდომებზე საუბრისას 2008 წლის ბუქარესტის სამიტი გაიხსენა, რომელზეც საქართველოს და უკრაინას ალიანსმა სამოქმედო გეგმა არ შესთავაზა. ლინკევიჩიუსის აზრით, ამ გადაწყვეტილებამ რუსეთი წააქეზა და შედეგად, საქართველოში შეჭრა და მოგვიანებით ყირიმის ანექსია მოიტანა.

— ზოგიერთმა (ნატოს წევრმა) ჩათვალა, რომ ეს პროვოკაცია იქნებოდა. ზოგიერთ კოლეგას ეგონა, რომ ეს რუსეთისთვის სიგნალს წარმოადგენდა, რომ ჩვენ მათ ინტერესებს ვეცილებოდით. ეს, ჩემი აზრით, დიდი შეცდომა იყო, — განაცხადა ლინკევიჩიუსმა.

მისივე თქმით, ნატოს ზოგიერთ წევრს რუსეთის მიმართ არამართებული დამოკიდებულება აქვს, მაგალითად, რამდენიმე ქვეყანას 2008 წელს და მას შემდეგაც, მიაჩნდა, რომ მოვლენებისთვის ზუსტი სახელის დარქმევა და რუსეთის მიმართ მკაფიო გზავნილის გავრცელება, პროვოკაცია იქნებოდა.

— ჩვენ იქამდე მივედით, რომ საკუთარი თავის გვეშინია. აქ საქმე რაიმე სახის აგრესიასთან ხომ არ გვაქვს? მე პირადად, როცა ვსაუბრობ იმაზე, რომ თანმიმდევრულები ვართ ჩვენს პოზიციებში, სწორედ 2008 წელს ვგულისხმობ. მაშინ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იმის გამო არ მივიღეთ, რომ არ გვინდოდა (რუსეთის) პროვოცირება, — განაცხადა მინისტრმა.

ლინკევიჩიუსის განცხადებით, ნატოს მიერ წვრთნების ჩატარების დაყოვნებამ, ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის და უკრაინისთვის სამოქმედო გეგმის არმიცემამ და სხვა ბევრი მიმართულებით სიფრთხილის გამოჩენამ რუსეთს ანიშნა, რომ მას მოქმედება შეეძლო იმ ვაკუუმის ამოსავსებად, რომელსაც ნატო ტოვებდა.

მისი თქმით, რუსეთი ნატოსგან განსხვავებული მეთოდებით მოქმედებს.

— ყველა ხომ კულტურულად არ იქცევა. ზოგიერთები ძალის გამოყენებით აკეთებენ საქმეს. საქართველოს ტერიტორიების ანექსიაც სწორედ ასე მოხდა. ჩვენ ვამბობდით, რომ ამას დამატებითი შედეგები მოჰყვებოდა და მაშინ, სხვათა შორის, ყირიმზე, დნესტრისპირეთზე, სხვა გაყინულ კონფლიქტებზე ვსაუბრობდით. ჩვენ (ნატომ) თუ ასე გავაგრძელეთ მოქცევა, სხვა გაყინული კონფლიქტებიც არსებობს, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება გააქტიურდეს. ამ შეცდომებიდან ნატომ ვერაფერი ისწავლა, — განაცხადა მინისტრმა.

მან აღნიშნა, რომ ერთადერთი მხარე, რომელიც ნატოს მოქმედებებზე დაყრდნობით გარკვეულ დასკვნებამდე მივიდა, რუსეთი იყო.

— მოსკოვმა გაიგო, რომ ასე მოქმედება შეუძლია; რომ შეუძლია მოახდინოს სახელმწიფოს ნაწილის ანექსია მისთვის მინიმალური უარყოფითი შედეგებით. მოგეხსენებათ, რუსეთ-საქართველოს ომიდან რამდენიმე თვეში ურთიერთობები ნორმალურ ფარგლებს დაუბრუნდა და 2008 წელს ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების, ე.წ. სარკოზის გეგმის პირობებს რუსეთი დღემდე არ ასრულებს, — ამბობს ლინკევიჩიუსი.

ლიტვის პირველ დიპლომატს მიაჩნია, რომ დღეს ევროპაში იგივე დამოკიდებულება შეინიშნება, რაც 2008 წელს იყო. მისივე თქმით, დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთს სანქციები მოეხსნას და ურთიერთობები კვლავ ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

— არ შეიძლება ამის გაკეთება. ეს ძალიან ხანმოკლე წარმატება იქნება. ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ძველ სიტუაციას და მერე გაგვიკვირდება რატომ მოხდა სადღაც რაღაც. არ მინდა ახლა ჩამოვთვალო, სად რა შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველამ ვიცით, სად არის გაყინული კონფლიქტები, რომლებიც უბრალოდ გაღვიძების საკუთარ რიგს ელოდება, — განაცხადა ლინკევიჩიუსმა.

დიპლომატის თქმით, დასავლეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეში, უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა შეხედულება, რომ რუსეთის აგრესია დასავლეთის ბრალია, შეხედულების მხარდამჭერები ასევე ამბობენ, რომ იმის გამო, რომ ნატოს გაფართოება რუსეთის სამხედრო დოქტრინაში ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე დიდ საშიშროებადაა გაწერილი, ალიანსმა გაფართოების პოლიტიკა უნდა შეწყვიტოს და არსებულ ფარგლებში გააძლიეროს საკუთარი თავდაცვა.

— ჩვენ საკუთარ თავს არ უნდა ვადანაშაულებდეთ იმაში, რომ რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა. ეს ჩვენ არ გაგვიკეთებია! მაგრამ იმით, რომ რაღაცებზე თვალს ვხუჭავთ, ვივიწყებთ საკუთარ მოთხოვნებს, ვაწარმოებთ ეგრეთწოდებულ, არაპროვოკაციულ პოლიტიკას, რომელიც მე მიმაჩნია, რომ სწორედ პროვოკაციულია, ხელს ვუწყობთ წაქეზებას. ჩვენ მომხდარში თავი არ უნდა დავიდანაშაულოთ, მაგრამ ვალდებულები ვართ, პასუხისმგებლობა გავიზიაროთ, — მიიჩნევს მინისტრი.

როგორც ლინკევიჩიუსმა აღნიშნა, პასუხისმგებლობის განაწილებაში ის იმას გულისხმობს, რომ ნატო პრობლემის გადაჭრაზე უნდა მუშაობდეს, მაგრამ უმოქმედობით ის პრობლემის ნაწილი ხდება.

— არ ვიყენებთ ჩვენს გავლენას, რომლის გამოყენება არათუ შეგვიძლია, არამედ გვევალება. ამაში არაფერი აგრესიული არ იქნება, ეს ჩვენი თანმიმდევრულობის გაგრძელება იქნება, — განაცხადა ლინკევიჩიუსმა.

**ინტერპრესნიუსი**

# 2015 წელს შობადობა 2,3%-ით შემცირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2015 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ არსებულ მონაცემებს აქვეყნებს.

საქსტატის ცნობით, 2015 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 59.249 (30.902 ბიჭი და 28.347 გოგო) შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 2,3 პროცენტით ნაკლებია.

– 2008 წლიდან ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილების წილი, პირველი შვილის წილი კი შემცირდა, ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა. ეს ტენდენცია 2015 წელსაც გაგრძელდა და წინა წელთან შედარებით პირველი შვილის პროცენტული წილი 1,8 პუნქტით შემცირდა, მესამე და მომდევნო შვილის წილი 1,8 პუნქტით გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი უცვლელი დარჩა.



გარდაცვლილთა სქესობრივ-ასაკობრივმა სტრუქტურამ მცირეოდენი ცვლილება განიცადა. ყველაზე დიდი პროცენტული მატება 65-69 და 85 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფებში დაფიქსირდა, როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალბატონებისთვის. ყველაზე დიდი პროცენტული კლება კი ორივე სქესისათვის 70-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა, – აცხადებენ უწყებაში.

რაც შეეხება ქორწინებას – 2015 წელს რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 7,5 პროცენტით შემცირდა და 29.157 შეადგინა, 2015 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ კი 9.112 შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის უცვლელი დარჩა.

**ნიუსპრესი**

# ისლამურმა სახელმწიფომ კავკასიაში ტერაქტებს უმატა

## ექსპერტები ხალიფატის ჩრდილოკავკასიური დანაყოფების გააქტიურებას ელიან

*მარიამ მჭედლიშვილი*

ისლამურმა სახელმწიფომ იკისრა პასუხისმგებლობა დაღესტანში, ტაბარასარანის რაიონის სოფელ სირტიჩთან ორი დღის წინ მომხდარ აფეთქებაზე. ამ ტერაქტისას პოლიციის ავტომანქანა აფეთქდა. დაიღუპა ერთი და დაშავდა ერთი პოლიციელი. ერთი ვერსიით, პოლიციის მანქანა აედევნა საეჭვოდ მიჩნეულ პირებს, რომლებმაც მოგვიანებით მანქანა გაანადგურეს. არის ინფორმაცია, რომ დაღუპულების რაოდენობა მეტია.



მანამდე ერთი დღით ადრე დაღესტანში, ფედერალურ გზაზე, ძალოვნების ავტოკოლონა ააფეთქეს. მას კრასნოიარსკიდან ჩამოსული თანამშრომლები შეეწირნენ. ერთი ვერსიით, დაღუპულთა რაოდენობამ 10-ს გადააჭარბა. რამდენიმე ძალოვანი მძიმედ დაიჭრა. ეს აფეთქებაც თავის თავზე აიღო ისლამურმა სახელმწიფომ.

საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლო 7 თვის განმავლობაში მომხდარი 29 ტერაქტიდან 5-ზე პასუხისმგებლობა იკისრა ხალიფატმა.

ისლამური სახელმწიფოს ჩრდილოკავკასიურ ქვედანაყოფებში ძირითადად ის მებრძოლები არიან გაერთიანებული, რომლებიც ადრე იმარატ კავკასიის რიგებში ირიცხებოდნენ.

2014 წლის დეკემბრიდან დაიწყო მათი ხალიფატის შემადგენლობაში გადასვლის პროცესი.

ამ მხრივ განსაკუთრებული აღმოჩნდა 2015 წლის ივნისი, როცა ჩრდილოკავკასიელი ტერორისტების ორგანიზაციის 4 ვილაიეთის მებრძოლებმა ფიცი დადეს ისლამური სახელმწიფოს ბელადის წინაშე. ბევრი ჩრდილოკავკასიელი შეუერთდა ხალიფატის რიგებს ახლო აღმოსავლეთშიც. ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციების შედეგად 2015 წელს დაიღუპა ხალიფატში გადასული 20 მებრძოლი.

ექსპერტები აღიარებენ, რომ ისლამური სახელმწიფო საგრძნობლად გააქტიურდა ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით – დაღესტანში.

მიხეილ როშჩინის თქმით, ტერორისტებს სურთ რესპუბლიკაში სიტუაციის კონტროლი. ამასთან, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ტერორისტული აქტები ჯიჰადისტების საწინააღმდეგოდ განაწყობს მოსახლეობის იმ ნაწილსაც, რომელიც მათ თანაუგრძნობდა.

როშჩინი აღიარებს, რომ ხალხი უკმაყოფილოა ადგილობრივი სამართალდამცავების მუშაობით. მოსახლეობა ამბობს, რომ ძალოვნები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანების უსაფრთხოებას. მოსალოდნელია, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობა გაიზარდოს.

ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღებული იატაკქვეშეთის აქტიურობის განახლებაზე საუბრობს ექსპერტი ალექსეი მალაშენკო.

მისი სიტყვებით, ახლო აღმოსავლეთში გრძელდება ომი, რომელშიც რუსეთი ისლამური სახელმწიფოს მოწინააღმდეგეა. ამდენად, ისლამისტი მებრძოლები გააძლიერებენ თავიანთ მოქმედებებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიაში.

– კავკასიაში ჯიჰადისტების აქტიურობის შენელება დროებითი მოვლენა იყო. ტაიმაუტი გამოიწვია იმან, რომ მიმდინარეობდა კონკურენცია და ბრძოლა იმარატ კავკასიასა და ისლამურ სახელმწიფოს შორის. ასევე, აქტიურობა შეანელა ალ-ქაიდას მხრიდან დაფინანსების შეწყვეტამ, – აცხადებს ექსპერტი ახმეტ იარლიკაპოვი.

მისი თქმით, ავტოკოლონის აფეთქება ადასტურებს, რომ იატაკქვეშა მებრძოლებმა მიიღეს დაფინანსება ისლამური სახელმწიფოდან.

ბოლოდროინდელი აფეთქებებისას ტერორისტებმა გამოიყენეს იმარატ კავკასიის წარმატებული გამოცდილება. უახლოეს ხანში არაა გამორიცხული შეტევები მშვიდობიან ობიექტებზე.

ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე საქართველო არ ითვლება ისლამური სახელმწიფოს პირდაპირი აგრესიის ადრესატად. თუმცა, საქართველოს შესაბამისი უწყებები გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ.

სუს-ის უფროსის მოადგილე ლევან იზორია აცხადებს:

– გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ცალკეული მოქალაქეები მონაწილეობენ საერთაშორისო ტერორიზმში, ჩვენთვისაც გამოწვევად რჩება ტერორიზმთან ბრძოლა. ეს ბრძოლა დაკავშირებულია როგორც მათ გამოვლენასთან და დაკავებასთან, ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## აშშ უკრაინას სამხედრო დახმარებას გაუზრდის

ვაშინგტონში პეტრო პოროშენკოსა და აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის შეხვედრა შედგა.

მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა წარიმართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ბაიდენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება უკრაინისთვის სამხედრო დახმარების 335 მილიონი დოლარით გაზრდის შესახებ.

## მორიგი ტერაქტი თურქეთში



თურქეთში ტერაქტები გრძელდება. ქალაქ დიარბექირში, სადაც უმეტესწილად ქურთები ცხოვრობენ, აფეთქდა ავტომანქანა. 6 პოლიციელი დაიღუპა, 23 დაიჭრა.

— ჩვენ ტერორისტებთან მუდამ შეურიგებელნი ვიყავით. ახლა ისინი შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან, თუმცა ჩვენ მათ წინააღმდეგ ბრძოლას გავაგრძელებთ და ყველა მათგანს გავანადგურებთ, — განაცხადა პრეზიდენტმა ერდოღანმა.

## ჰააგამ შეშელი გაამართლა



ჰააგის სასამართლომ გაამართლა სერბი რადიკალ-შოვინისტების ლიდერი ვოისლავ შეშელი, რომელსაც სერ ჟირინოვსკის უწოდებდნენ. მას ბრალად სამხედრო დანაშაულის ჩადენა ედებოდა.

— მადლობა ღმერთს, სასამართლომ ამერიკის ზეწოლას გაუძლო და სწორი განაჩენი გამოიტანა, — განუცხადა ჟურნალისტებს შეშელმა.

სერბების უმრავლესობა ჰააგის ტრიბუნალის განაჩენს მიესალმა. განსხვავებული ვითარებაა ხორვატიაში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა გაოგნებულია. ხორვატიის პრემიერმა ორეშკოვიჩმა სასამართლოს გადაწყვეტილების გამო პროტესტი გამოთქვა.

— შეშელი არა მხოლოდ სერბი ნაცისტია, ის ყელამდე სისხლში დგას! ასეთი პიროვნების გამართლება სამარცხვინოა, — ამბობს ორეშკოვიჩი.

## სალაჰ აბდესლამს საფრანგეთს გადასცემენ




პარიზის ტერაქტების ორგანიზებაში ეჭვმიტანილ სალაჰ აბდესლამს საფრანგეთს გადასცემენ.

ამის თაობაზე სპეციალური განცხადება ბელგიის პროკურატურამ გააკეთა.

აბდესლამის ადვოკატმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მისი კლიენტი თანახმაა, საფრანგეთს გადასცენ.

ფრანგი ჟურნალისტები მწარედ ხუმრობენ, ბელგიის ციხეებში უფრო მკაცრი რეჟიმია, ვიდრე ფრანგულში, ამიტომ საფრანგეთის ციხიდან გაქცევა უფრო ადვილია. აბდესლამი საფრანგეთისთვის გადაცემაზე ამიტომაა თანახმა.

## კიროვოგრადს სახელს შეუცვლიან

კიროვოგრადს, შესაძლოა, კროპივნიცკი უწოდონ. ამის შესახებ უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ოლენა შკრუმმა განაცხადა.

ევრორევოლუციის შემდეგ, როცა დეკომუნიზაციის პროცესი დაიწყო, კიროვოგრადისთვის სახელის შეცვლის თემა რამდენიმეჯერ წამოიჭრა, თუმცა კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე დღემდე ვერ მივიდნენ.

— კროპივნიცკი დიდი უკრაინელი თეატრალური მოღვაწეა. თუკი კიროვოგრადს მის სახელს დაარქმევენ, ამას უკრაინელების უმრავლესობა მიესალმება, — აცხადებს ოლენა შკრუმი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# სპორტი

## ბრაზილიაში დუნგას მუშაობით უკმაყოფილოები არიან

ბრაზილიის ნაკრები ბოლო პერიოდში არცთუ სახარბიელო შედეგებს აჩვენებს.



დუნგას ხელმძღვანელობით ბრაზილიელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში 6 მატჩის შემდეგ მე-6 ადგილს იკავებენ. ბოლო შეხვედრებმა პარაგვაისთან და ურუგვაისთან ნათლად აჩვენა ბრაზილიის ნაკრების სათამაშო პრობლემები. ამის გამო არ არის გამორიცხული, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი დუნგა თანამდებობიდან დაითხოვონ, რადგან ბრაზილიის საფეხბურთო ფედერაცია მისი მუშაობით უკმაყოფილოა.

ბევრი რამ წლევანდელ კოპა ამერიკაზე გაირკვევა და დუნგას ბედს სწორედ ამ ტურნირზე ნაჩვენები შედეგი გადაწყვეტს.

დუნგა ბრაზილიის ნაკრებს 2014 წლიდან წვრთნის.

## რაფაელ ვარანი ელ-კლასიკოს გამოტოვებს



მადრიდის რეალის ფრანგი მცველი რაფაელ ვარანი ბარსელონასთან შეხვედრაში არ ითამაშებს. ამის მიზეზი ტრავმაა, რომელიც ვარანმა საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო.

რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ვარანი მატჩის განაცხადშიც არ შეიყვანა.

რეალისთვის ვარანის არყოფნა დანაკლისი იქნება, რადგან ფრანგი მცველი ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად ხვდებოდა სამეფო გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ბარსელონას წინააღმდეგ მოედანზე სავარაუდოდ პეპე და სერხიო რამოსი გამოვლენ. რაც შეეხება თვითონ ელ-კლასიკოს, ის 2 აპრილს თბილისის დროით 22.30 საათზე დაიწყება.

## ლევან მჭედლიძემ ისევ ტრავმა მიიღო



საქართველოს ნაკრების და იტალიური ემპოლის თავდამსხმელმა ლევან მჭედლიძემ ტრავმა მიიღო და თავის გუნდს იუვენტუსის წინააღმდეგ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. ლევანი წლევანდელ სეზონში ტრავმებმა გააწამეს, რადგან მან უკვე გამოტოვა 5 თვე და ამის გამო გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

მჭედლიძემ ნაკრების შეკრებაზე მიიღო ტრავმა და ამის გამო ყაზახეთთან ამხანაგური შეხვედრაც გამოტოვა. როგორც აღმოჩნდა ლევანს კუნთი აქვს დაჭიმული და რამდენიმე კვირა მოედანს მიღმა მოუწევს ყოფნა.

მჭედლიძე მაღალი შედეგიანობით არ გამოირჩევა და იტალიის ჩემპიონატში ემპოლის მაისურით მან მხოლოდ 4 ჯერ შეძლო თავის გამოჩენა.

## ჰენრიხ მხითარიანი შეიძლება არსენალში გადავიდეს



დორტმუნდის ბორუსიაში მოთამაშე სომეხი ფეხბურთელი ჰენრიხ მხითარიანი ზაფხულში შესაძლოა არსენალში გადავიდეს სათამაშოდ. მხითარიანი თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მის გარეშე ბორუსიის წარმოდგენა საკმაოდ რთულია.

სომეხ ფეხბურთელს ადრეც ჰქონდა შემოთავაზებები სხვადასხვა კლუბებისგან, მაგრამ მან დორტმუნდში დარჩენა ამჯობინა. ამჯერად არსენალს მხითარიანის შეძენა სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი და მზად არის, ბორუსიას ის თანხა გადაუხადოს, რასაც გერმანელები მოითხოვენ.

მხითარიანი ბორუსიაში 2013 წელს გადავიდა და მის ანგარიშზე 37 გატანილი გოლია. მანამდე მხითარიანი რამდენიმე წლის მანძილზე დონეცკის შახტარში თამაშობდა.

## ლესტერი — საუთჰემპტონის შეხვედრაზე გულშემატკივარი უფასო ლუდს მიიღებს

წლევანდელი საფეხბურთო სეზონის მთავარი აღმოჩენა და სენსაცია ინგლისური გუნდი ლესტერი პოზიციებს არ თმობს და ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს არის.

3 აპრილს ლესტერი საკუთარ მოედანზე საუთჰემპტონს მიიღებს და ამ შეხვედრაში გულშემატკივრებისთვის ლუდი უფასო იქნება.

ამ აქციით ლესტერი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც წლების მანძილზე ამ გუნდს გულშემატკივრობდა.

ამჟამად ლესტერს 66 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ ტოტენჰემს 5 ქულით ასწრებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ 7 ტური დარჩა, ლესტერს ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## მამუკა გორგოძე: „პარისემ შეურაცხყოფა მოგვაყენა“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბენ. კონკურენცია წელსაც მაღალია, მაგრამ უფრო ხშირად მიწევს მოედანზე გასვლა. აქ ისეთი სიტუაციაა, რომ სასტარტოში ადგილის მოსაპოვებლად ვარსკვლავებიც იბრძვიან.

***— თქვენ სხვა მოთამაშეებს ვარსკვლავებად მოიხსენიებთ, თუმცა თქვენც ამ კატეგორიას მიეკუთვნებით.***

— მე ვარსკვლავი არ ვარ. იმ ბიჭების თამაშს, რომელთა მხარდამხარაც ახლა თავად ვთამაშობ, ცოტა ხნის წინ ტელევიზორში ვუყურებდი. მათ პატივს ვცემ, თუმცა კერპი არასდროს მყოლია. მოედანზე ან მის მიღმა არასდროს არავისთვის მიმიბაძავს. მაქვს ჩემი პლუსები, დიდი ხანია ვთამაშობ და ვიცი, ისინი როგორ გამოვიყენო. მიხარია, რომ მსოფლიო თასზე თუ საფრანგეთში თამაშისას, ყურადღების ცენტრში ვარ, მაგრამ ეს არ მცვლის. შესაძლოა, ჩემზე ბევრ კარგს ამბობენ, თუმცა ამას ყურადღებას ნაკლებად ვაქცევ.

***— ცოტა ხნის წინ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშეთ. ბოლო წლებსა და თვეებს თუ გადავხედავთ, რაგბი საქართველოში პოპულარობით ფეხბურთს უტოლდება. თქვენც ამ აზრის ხართ?***

— ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ თამაშებს აგებენ და ხალხიც სტადიონზე იტალიის და საფრანგეთის სანახავად დადის. ჩვენს ბოლო თამაშს კი, თბილისში 55.000 მაყურებელი დაესწრო. დღესაც გაოცებული ვარ, წარმოიდგინეთ, რომ ამდენი ბილეთი გაიყიდა ერთა თასზე რუმინეთთან მატჩზე. ადრეც შეგვიკრებია ამხელა აუდიტორია, ოღონდ რუსეთთან თამაშზე. მაგრამ მსოფლიო თასის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და სულ მალე რაგბი საქართველოში სპორტის უპირველესი სახეობა გახდება.

***— მსოფლიო თასზე წარმატებული თამაშის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ერთა თასი ერთი ამოსუნთქვით მოიგო.***

— ვფიქრობ, დროა, საქართველომ უფრო მაღალი დონის ტურნირში ითამაშოს. შესაძლოა, ეს არ იყოს 6 ერი, მაგრამ რაღაც გარდამავალში 6 ერსა და ერთა თასს შორის. სისტემატურად უნდა ვთამაშობდეთ ისეთ გუნდებთან, როგორებიც იაპონია, კანადა, აშშ, ტონგა და ფიჯი არიან. ჩვენ არ ვართ დიდი გუნდი, თუმცა ასეთად გახდომის პოტენციალი გვაქვს. ერთა თასის მონაწილე ყველა გუნდის პატივისცემის მიუხედავად, ეს ტურნირი ჩვენი განვითარებისთვის უკვე აღარაფრის მომტანია.

***— ბოლო დროს გახშირდა საუბრები იმის თაობაზე, რომ ხომ არ სჯობს იტალიის ნაცვლად 6 ერში საქართველოს ინტეგრირება მოხდეს.***

— ამას არ ეთანხმება იტალიელთა კაპიტანი პარისე... თუმცა, ვფიქრობ, მისი გადასაწყვეტი არაა, ვინ რომელ ტურნირში ითამაშებს. მისი საქმე მოედანზე გასვლა და თამაშია და არა ამ საკითხის პრესაში განხილვა. შესაძლოა, ჩვენ 6 ერში სათამაშოდ მზად არ ვართ, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველო უელსისგან 70 ქულას არ მიიღებს. ჩვენ რომ 17 წელი გვეთამაშა 6 ერში, გაცილებით დიდი პროგრესი გვექნებოდა, ვიდრე იტალიას. მათ კარგი გუნდი ჰყავთ, ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული, რომლებიც მთელი გულით თამაშობენ... მათგან განსხვავებით, ჩვენ არ ვსაუბრობთ ამ საკითხზე პრესასთან, მაგრამ, თუ ასე დარწმუნებულები ხართ საკუთარ უპირატესობაში, დაგვიმტკიცეთ ეს მოედანზე.

შედგეს თამაში 6 ერის ბოლოადგილოსანსა და ერთა თასის გამარჯვებულს შორის და ვნახოთ, რა შედეგი დადგება. საქართველოში ყველამ ცუდად მიიღო მისი განცხადება — თურმე, ჩვენი ადგილი ერთა თასზე ყოფილა. პარისე მსოფლიო დონის მოთამაშეა, თუმცა მან თავისი სიტყვებით შეურაცხყოფა მოგვაყენა.

მ. ჟ.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს. ტელ: 599-25-50-50.**

# ელ კლასიკოს რომაული დერბი გადაფარა



## სტატისტიკა, ფსონები

ბარსელონა-რეალი – ამით ყველაფერია ნათქვამი. ამ უქმეებზე მთელი ყურადღება კამპ ნოუზე იქნება გადატანილი და ისეთ დერბისაც კი დაფარავს, როგორიც ლაციო-რომაა.

მიუხედავად იმისა, რომ ბარსა 10 ქულით უსწრებს რეალს, ელ კლასიკოს ყოველთვის თავისი დატვირთვა აქვს, ამასთან, აუწონავი...

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.04 ასტონ ვილა-ჩელსი | 6.0 | 4.0 | 1.55 |
| 02.04 სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 02.04 ბორნმუთი-სიტი | 3.75 | 3.6 | 1.95 |
| 02.04 სტოკი-სუონსი | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 02.04 ნორვიჩი-ნიუკასლი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 02.04 არსენალი-უოტფორდი | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 02.04 ვესტ ჰემი-კრ.პალასი | 1.91 | 3.5 | 3.8 |
| 02.04 ლივერპული-ტოტენჰემი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 03.04 ლესტერი-საუთჰემპტონი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 03.04 მანჩესტერი-ევერტონი | 2.05 | 3.4 | 3.6 |

**ასტონ ვილა-ჩელსი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ჯორდან ამავი, ლიბორ კოზაკი

ჩელსი: ***ტრავმ***-კენედი, ედენ აზარი, კურტ ზუმა; ***დისკვ***-დიეგო კოსტა

**სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დანკან უიტმორი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-კრის ბრუნტი, ჯეიმს მორისონი

**ბორნმუთი-სიტი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჰარი არტერი, ტაირონ მინგსი, კალუმ უილსონი

სიტი: ***ტრავმ***-ჯო ჰარტი, რაჰიმ სტირლინგი, ვინსენტ კომპანი

**სტოკი-სუონსი**

სტოკი: ***ტრავმ***-ჯეკ ბატლანდი, რაიან შოუკროსი, მარკ უილსონი, გლენ ჯონსონი

სუონსი: ***ტრავმ***-ნეილ ტეილორი

**ნორვიჩი-ნიუკასლი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ნათან რედმონდი, ალექსანდერ ტეტეი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-დარილ იანმაატი, სილვიან მავრო, პოლ დამენტი, ფაბრიციო კოლოჩინი, მასადიო ჰაიდარა, ტიმ კრული; ***დისკვ***-ჯეკ კოლბეკი

**არსენალი-უოტფორდი**

არსენალი: ***ტრავმ***-ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანტი კაზორლა, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი

უოტფორდი: ***ტრავმ***-არავინ

**ვესტ ჰემი-კრ.პალასი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-არავინ

კრ.პალასი: ***ტრავმ***-მარუან შამახი, ჯეიმს მაკარტური

**ლივერპული-ტოტენჰემი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯოზეფ გომესი, დანი ინგსი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ნაბილ ბენთალები

**ლესტერი-საუთჰემპტონი**

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-რაიან ბერტრანდი

**მანჩესტერი-ევერტონი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-დელი ბლინდი, ბასტიან შვაინშტაიგერი, უილიამ კინი, უეინ რუნი, ლუკ შოუ

ევერტონი: ***ტრავმ***-სტივ პიენაარი, ტიას ბრაუნინგი; ***დისკვ***-გარეტ ბერი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 31 | 19 | 9 | 3 | 54-31 | 66 |
| 2.ტოტენჰემი | 31 | 17 | 10 | 4 | 56-24 | 61 |
| 3.არსენალი | 30 | 16 | 7 | 7 | 48-30 | 55 |
| 4.სიტი | 30 | 15 | 6 | 9 | 52-32 | 51 |
| 5.ვესტ ჰემი | 30 | 13 | 11 | 6 | 47-35 | 50 |
| 6.მანჩესტერი | 30 | 14 | 8 | 8 | 38-27 | 50 |
| 7.საუთჰემპტონი | 31 | 13 | 8 | 10 | 41-32 | 47 |
| 8.სტოკი | 31 | 13 | 7 | 11 | 34-37 | 46 |
| 9.ლივერპული | 29 | 12 | 8 | 9 | 45-40 | 44 |
| 10.ჩელსი | 30 | 10 | 11 | 9 | 45-41 | 41 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 30 | 10 | 9 | 11 | 30-37 | 39 |
| 12.ევერტონი | 29 | 9 | 11 | 9 | 51-41 | 38 |
| 13.ბორნმუთი | 31 | 10 | 8 | 13 | 38-50 | 38 |
| 14.უოტფორდი | 30 | 10 | 7 | 13 | 30-32 | 37 |
| 15.სუონსი | 31 | 9 | 9 | 13 | 31-40 | 36 |
| 16.კრ.პალასი | 30 | 9 | 6 | 15 | 32-40 | 33 |
| 17.ნორვიჩი | 31 | 7 | 7 | 17 | 32-54 | 28 |
| 18.სანდერლენდი | 30 | 6 | 8 | 16 | 36-55 | 26 |
| 19.ნიუკასლი | 30 | 6 | 7 | 17 | 29-55 | 25 |
| 20.ასტონ ვილა | 31 | 3 | 7 | 21 | 22-58 | 16 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.04 ატლეტიკო-ბეტისი | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 02.04 ლას პალმასი-ვალენსია | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 02.04 ბარსელონა-რეალი | 1.61 | 4.4 | 4.6 |
| 02.04 სელტა-დეპორტივო | 1.73 | 3.8 | 4.5 |
| 03.04 ბილბაო-გრანადა | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 03.04 მალაგა-ესპანიოლი | 1.91 | 3.3 | 4.33 |
| 03.04 ეიბარი-ვილიარეალი | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 03.04 სევილია-სოსიედადი | 1.67 | 4.0 | 4.8 |
| 04.04 ლევანტე-ხიხონი | 2.1 | 3.25 | 3.6 |

**ატლეტიკო-ბეტისი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ხოსე ხიმენესი, დიეგო გოდინი, ტიაგო

ბეტისი: ***ტრავმ***-ხუან ვარგასი, კრისტიანო პიცინი

**ლას პალმასი-ვალენსია**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხავი კასტელანო

ვალენსია: ***ტრავმ***-ხოსე გაია, დენის ჩერიშევი, ზაკარია ბაკალი

**ბარსელონა-რეალი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ადრიანო, სანდრო რამირესი

რეალი: ***ტრავმ***-არავინ

**სელტა-დეპორტივო**

სელტა: ***ტრავმ***-მარსელო დიასი, ნესტორ დიასი, პაბლო, ენდრიუ ფონტასი

დეპორტივო: ***ტრავმ***-რობერტ სუარესი, მანუელ პაბლო, ფაბრიციო

**ბილბაო-გრანადა**

ბილბაო: ***ტრავმ***-აიმერიკ ლაპორტე

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ისააკ სუკესი

**მალაგა-ესპანიოლი**

მალაგა: ***ტრავმ***-კარლოს კამენი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ანაიტც არბილია

**ეიბარი-ვილიარეალი**

ეიბარი: ***ტრავმ***-ბორხა ეკიზა; ***დისკვ***-ადრიან გონსალესი, ივან რამისი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ჯონათან დოს სანტოსი; ***დისკვ***-მარიო გასპარი

**სევილია-სოსიედადი**

სევილია: ***ტრავმ***-მარკო ანდრეოლი

სოსიედადი: ***ტრავმ***-ენეკო კაპილა, იმანოლ აგირეჩე, სერხიო კანალესი

**ლევანტე-ხიხონი**

ლევანტე: ***ტრავმ***-ტონო, ივან ლოპესი; ***დისკვ***-სიმაო

ხიხონი: ***ტრავმ***-ალექს მენენდესი, ბერნარდო ესპინოზა; ***დისკვ***-იორგ მერე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 24 | 4 | 2 | 86-24 | 76 |
| 2.ატლეტიკო | 30 | 21 | 4 | 5 | 46-14 | 67 |
| 3.რეალი | 30 | 20 | 6 | 4 | 87-28 | 66 |
| 4.ვილიარეალი | 30 | 15 | 9 | 6 | 37-25 | 54 |
| 5.სელტა | 30 | 14 | 6 | 10 | 43-51 | 48 |
| 6.სევილია | 30 | 13 | 9 | 8 | 43-35 | 48 |
| 7.ბილბაო | 30 | 14 | 5 | 11 | 48-39 | 47 |
| 8.მალაგა | 30 | 10 | 9 | 11 | 29-28 | 39 |
| 9.ეიბარი | 30 | 10 | 8 | 12 | 42-42 | 38 |
| 10.დეპორტივო | 30 | 7 | 15 | 8 | 39-43 | 36 |
| 11.სოსიედადი | 30 | 9 | 8 | 13 | 37-41 | 35 |
| 12.ესპანიოლი | 30 | 10 | 5 | 15 | 31-56 | 35 |
| 13.ბეტისი | 30 | 8 | 10 | 12 | 27-40 | 34 |
| 14.ვალენსია | 30 | 8 | 10 | 12 | 33-36 | 34 |
| 15.ლას პალმასი | 30 | 9 | 6 | 15 | 32-42 | 33 |
| 16.რაიო | 30 | 6 | 10 | 14 | 41-63 | 28 |
| 17.გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 32-56 | 28 |
| 18.ხეტაფე | 30 | 7 | 7 | 16 | 28-52 | 28 |
| 19.ხიხონი | 30 | 7 | 6 | 17 | 32-52 | 27 |
| 20.ლევანტე | 30 | 6 | 6 | 18 | 28-54 | 24 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.04 ბაიერნი-აინტრახტი | 1.11 | 9.0 | 21.0 |
| 02.04 ჰანოვერი-ჰამბურგი | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 02.04 ინგოლშტადი-შალკე | 2.9 | 3.2 | 2.5 |
| 02.04 დარმშტადი-შტუტგარტი | 3.1 | 3.4 | 2.25 |
| 02.04 მაინცი-აუგსბურგი | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 02.04 დორტმუნდი-ვერდერი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 03.04 გლადბახი-ჰერტა | 1.85 | 3.5 | 4.3 |
| 03.04 ჰოფენჰაიმი-კიოლნი | 2.45 | 3.4 | 2.8 |

**ბაიერნი-აინტრახტი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი, ტომ სტარკე, ჰოლგერ ბადშტურბერი, მილოშ პანტოვიჩი, ხავი მარტინესი, ჟერომ ბოატენგი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ლუკა ვალდშმიდტი, ალექსანდერ მეიერი, სლობოდან მადოიევიჩი, მიიატ გაჩინოვიჩი, იოანეს ფლუმი

**ჰანოვერი-ჰამბურგი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-სალიფ სანე, ანდრე ჰოფმანი, ფელიქს კლაუსი, მანუელ შმიდელბახი, მარიუს ვულფი, ფელიპე, ეფე ბეხი, ლეონ ანდრეასენი, ჩარლისონ ბენშოპი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-იოან ჯურუ, იოსიპ დრმიჩი, ანდრეას ჰირცელი, ნიკოლაი მიულერი, ივიცა ოლიჩი

**ინგოლშტადი-შალკე**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-დანილო სოარესი, ტობიას ლეველსი

შალკე: ***ტრავმ***-ფაბიან რიისე, მარკო ჰოგერი, ბენედიკტ ჰოივედესი, მატია ნასტასიჩი

**დარმშტადი-შტუტგარტი**

დარმშტადი: ***ტრავმ***-დომინიკ სტროფ-ენგელი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მარტინ ჰარნიკი, კევინ გროსკროიცი, არიანიტ ფერატი, დანიელ გინსეკი

**მაინცი-აუგსბურგი**

მაინცი: ***ტრავმ***-დევანტე პარკერი, იოშინორი მუტო, ფილიპ კლემენტი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-პიოტრ ტროხოვსკი, იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი

**დორტმუნდი-ვერდერი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი

ვერდერი: ***ტრავმ***-მილოშ ველიკოვიჩი, სამბი იატაბარე, ლეონ გუვარა, იანეკ სტრენბერგი, მარსელ ჰილსნერი, არონ იოჰანსონი

**გლადბახი-ჰერტა**

გლადბახი: ***ტრავმ***-ოსკარ ვენდტი, მარტინ შტრანცლი, ტონი იანტჩკე, ალვარო დომინგესი, ნიკო შულცი

ჰერტა: ***ტრავმ***-სებასტიან ლანგკამპი

**ჰოფენჰაიმი-კიოლნი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფილიპ შვეგლერი, ჯოელინტონი

კიოლნი: ***ტრავმ***-კევინ ვოგტი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 22 | 3 | 2 | 65-13 | 69 |
| 2.დორტმუნდი | 27 | 20 | 4 | 3 | 64-26 | 64 |
| 3.ჰერტა | 27 | 14 | 6 | 7 | 37-27 | 48 |
| 4.შალკე | 27 | 13 | 5 | 9 | 39-35 | 44 |
| 5.გლადბახი | 27 | 13 | 3 | 11 | 54-44 | 42 |
| 6.ლევერკუზენი | 27 | 12 | 6 | 9 | 39-33 | 42 |
| 7.მაინცი | 27 | 12 | 5 | 10 | 35-33 | 41 |
| 8.ვოლფსბურგი | 27 | 10 | 8 | 9 | 39-34 | 38 |
| 9.კიოლნი | 27 | 8 | 9 | 10 | 28-34 | 33 |
| 10.ინგოლშტადტი | 27 | 8 | 9 | 10 | 23-31 | 33 |
| 11.შტუტგარტი | 27 | 9 | 5 | 13 | 43-54 | 32 |
| 12.ჰამბურგი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-38 | 31 |
| 13.დარმშტადტი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-41 | 28 |
| 14.ვერდერი | 27 | 7 | 7 | 13 | 36-54 | 28 |
| 15.აუგსბურგი | 27 | 6 | 9 | 12 | 33-43 | 27 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 27 | 6 | 9 | 12 | 30-43 | 27 |
| 17.აინტრახტი | 27 | 6 | 9 | 12 | 29-43 | 27 |
| 18.ჰანოვერი | 27 | 5 | 2 | 20 | 22-49 | 17 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.04 კარპი-სასუოლო | 2.9 | 3.0 | 2.6 |
| 02.04 იუვენტუსი-ემპოლი | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 03.04 უდინეზე-ნაპოლი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 03.04 კიევო-პალერმო | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 03.04 ფიორენტინა-სამპდორია | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 03.04 ლაციო-რომა | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 03.04 ატალანტა-მილანი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 03.04 ჯენოა-ფროზინონე | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 03.04 ინტერი-ტორინო | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 04.04 ბოლონია-ვერონა | 1.85 | 3.5 | 4.33 |

**კარპი-სასუოლო**

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი; ***დისკვ***-მარკო კრიმი, ემანუელ სუაპერი

სასუოლო: ***ტრავმ***-ლუკა ანტეი, სიმონე მისიროლი

**იუვენტუსი-ემპოლი**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ლეანდრო ბონუჩი, კლაუდიო მარკიზიო, მარტინ კასერესი; ***დისკვ***-ალექს სანდრო; სამი ხედირა

ემპოლი: ***ტრავმ***-ვინსენტ ლარინი

**უდინეზე-ნაპოლი**

უდინეზე: ***ტრავმ***-გილერმე

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**კიევო-პალერმო**

კიევო: ***ტრავმ***-ფედერიკო მატიელო; ***დისკვ***-პერპარინ ჰეტემაი

პალერმო: ***ტრავმ***-ედუარდო გოლდანია

**ფიორენტინა-სამპდორია**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მატიას ფერნანდესი, ნიკოლა კალინიჩი

სამპდორია: ***ტრავმ***-კარლოს კარბონერო

**ლაციო-რომა**

ლაციო: ***ტრავმ***-რიკარდო კიშნა, აბდულაიე კონკო, შტეფან რადუ, სტეფან დე ვრეი; ***დისკვ***-სენად ლულიჩი

რომა: ***ტრავმ***-არავინ

**ატალანტა-მილანი**

ატალანტა: ***ტრავმ***-კარლოს კარმონა

მილანი: ***ტრავმ***-იურაი კუჩკა, მბიაე ნიანგი

**ჯენოა-ფროზინონე**

ჯენოა: ***ტრავმ***-ალესიო ჩერჩი, კრისტიან ანსალდი, ნიკოლას ბურდისო

ფროზინონე: ***ტრავმ***-ალესანდრო ფრარა

**ინტერი-ტორინო**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

ტორინო: ***ტრავმ***-ჩირო იმობილე, დანილო აველარი; ***დისკვ***-კამილ გლიკი

**ბოლონია-ვერონა**

ბოლონია: ***ტრავმ***-მატია დესტრო, ემილ კრაფტი; ***დისკვ***-იბრაჰიმა მბიაე, დანიელე კასტადელო

ვერონა: ***ტრავმ***-მოჰამედ ფარესი; ***დისკვ***-ანტე რებიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 30 | 22 | 4 | 4 | 55-16 | 70 |
| 2.ნაპოლი | 30 | 20 | 7 | 3 | 62-24 | 67 |
| 3.რომა | 30 | 17 | 9 | 4 | 62-31 | 60 |
| 4.ფიორენტინა | 30 | 16 | 7 | 7 | 50-32 | 55 |
| 5.ინტერი | 30 | 16 | 7 | 7 | 40-28 | 55 |
| 6.მილანი | 30 | 13 | 10 | 7 | 40-31 | 49 |
| 7.სასუოლო | 30 | 11 | 12 | 7 | 37-33 | 45 |
| 8.ლაციო | 30 | 11 | 9 | 10 | 38-38 | 42 |
| 9.კიევო | 30 | 10 | 8 | 12 | 34-39 | 38 |
| 10.ბოლონია | 30 | 10 | 6 | 14 | 30-35 | 36 |
| 11.ემპოლი | 30 | 9 | 9 | 12 | 34-42 | 36 |
| 12.ჯენოა | 30 | 9 | 7 | 14 | 32-37 | 34 |
| 13.ტორინო | 30 | 8 | 9 | 13 | 37-42 | 33 |
| 14.ატალანტა | 30 | 8 | 9 | 13 | 28-35 | 33 |
| 15.სამპდორია | 30 | 8 | 8 | 14 | 43-48 | 32 |
| 16.უდინეზე | 30 | 8 | 7 | 15 | 26-45 | 31 |
| 17.კარპი | 30 | 6 | 10 | 14 | 28-46 | 28 |
| 18.პალერმო | 30 | 7 | 7 | 16 | 28-51 | 28 |
| 19.ფროზინონე | 30 | 7 | 6 | 17 | 29-55 | 27 |
| 20.ვერონა | 30 | 2 | 13 | 15 | 26-51 | 19 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.04 პსჟ-ნიცა | 1.61 | 3.8 | 5.5 |
| 02.04 რენი-რეიმსი | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 02.04 გენგამი-მონპელიე | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 02.04 ტრუა-ანჟე | 3.3 | 3.4 | 2.15 |
| 02.04 გაზელეკი-სტ.ეტიენი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 02.04 ტულუზა-კაენი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 03.04 ნანტი-ლილი | 2.4 | 2.8 | 3.5 |
| 03.04 ბასტია-მარსელი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 03.04 ლორიანი-ლიონი | 3.6 | 3.5 | 2.0 |

**პსჟ-ნიცა**

პსჟ: ***ტრავმ***-მარკო ვერატი

ნიცა: ***ტრავმ***-მაჰამანე ტრაორე, მეტიუ ბოდმერი, მიშელ ლე ბიანი, სიმონ პუპლინი

**რენი-რეიმსი**

რენი: ***ტრავმ***-პოლ ნტეპი, იაკუბა სილა, ედსონ მექსე

რეიმსი: ***ტრავმ***-პრინს ონიანუე, ალქს პეჟო, ანტუან ვებერი, ფრედერიკ ბულო, გრეიონ კილი

**გენგამი-მონპელიე**

გენგამი: ***ტრავმ***-სლოვან პრივატი, ჯულიენ გარდი, მევლუტ ერდინჩი, ლიონელ მატისი, ნიკოლას ბენეზეტი, დორიან ლევო, ნილ დე პოუ

მონპელიე: ***ტრავმ***-იორის მავრო, პოლ ლანსე

**ტრუა-ანჟე**

ტრუა: ***ტრავმ***-ბაბაქარ გუეიე, იოან მარსიალი, მოჰამადუ დაბო, მორი კონე

ანჟე: ***ტრავმ***-სლიმანე სისოკო, ფერებორი დორე

**გაზელეკი-სტ.ეტიენი**

გაზელეკი: ***ტრავმ***-გრეგუარ პუიოლი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ლოიკ პერინი, ჯონათან ბრისონი, რენო კოადე, რომან ჰამუმა, პიერ პოლომატი, რობერტ ბერიჩი

**ტულუზა-კაენი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ჟან-დანიელ აკპა აკპრო

კაენი: ***ტრავმ***-ვინსენტ ბესა, საიდი ნტიბაზონზიკა, ემანუელ იმოროუ, ისმაილ დიომანდე, ჯონათან დელაპლასე

**ნანტი-ლილი**

ნანტი: ***ტრავმ***-ადრიანი, კოფი ჯიჯი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიერი

ლილი: ***ტრავმ***-ლენი ნანგისი, სებასტიან კორშია, მარვინ მარტინი, მაიკ მაინანი

**ბასტია-მარსელი**

ბასტია: ***ტრავმ***-ლასანა კუიბალი, ჟულიენ რომანი

მარსელი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მენდი, ქარიმ რეკიკი, ანდრე ანგუისა

**ლორიანი-ლიონი**

ლორიანი: ***ტრავმ***-რაფაელ გერერო, ჰამადუ კარამოკო, მორიკე ფოფანა, ბენჯამინ მიკანჯო, ვესლი ლაუტოა

ლიონი: ***ტრავმ***-მეტიუ ვალბუენა, ნაბილ ფეკირი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 24 | 5 | 2 | 77-17 | 77 |
| 2.მონაკო | 31 | 14 | 13 | 4 | 46-34 | 55 |
| 3.ნიცა | 31 | 14 | 8 | 9 | 46-33 | 50 |
| 4.ლიონი | 31 | 14 | 7 | 10 | 49-33 | 49 |
| 5.რენი | 31 | 12 | 12 | 7 | 47-38 | 48 |
| 6.კაენი | 31 | 14 | 4 | 13 | 34-40 | 46 |
| 7.სტ.ეტიენი | 31 | 13 | 6 | 12 | 36-34 | 45 |
| 8.ნანტი | 31 | 11 | 11 | 9 | 29-30 | 44 |
| 9.ლილი | 31 | 10 | 13 | 8 | 26-24 | 43 |
| 10.ანჟე | 31 | 11 | 9 | 11 | 34-32 | 42 |
| 11.ბასტია | 31 | 11 | 7 | 13 | 29-32 | 40 |
| 12.მარსელი | 31 | 8 | 15 | 8 | 42-36 | 39 |
| 13.ლორიანი | 31 | 9 | 12 | 10 | 42-47 | 39 |
| 14.ბორდო | 31 | 9 | 12 | 10 | 39-49 | 39 |
| 15.გენგამი | 31 | 10 | 8 | 13 | 37-45 | 38 |
| 16.მონპელიე | 31 | 10 | 6 | 15 | 36-38 | 36 |
| 17.რეიმსი | 31 | 8 | 9 | 14 | 34-44 | 33 |
| 18.გაზელეკი | 31 | 7 | 12 | 12 | 31-43 | 33 |
| 19.ტულუზა | 31 | 5 | 11 | 15 | 32-49 | 26 |
| 20.ტრუა | 31 | 2 | 8 | 21 | 22-70 | 14 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 4 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 სოციალური თოქ-შოუ 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ბორნის იდენტიფიკაცია**" (მ.დეიმონი)

